F+5/2 13833

ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ, № 24 მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 146 პარასკევი, 30 ივნისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 30 ივნისი 1922 წ. № 146

რტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობაში ახალი ხანის დასაწყისი

(პარტიული კონფერენციის გამო)

ენი პარტიის პირველი კონფე- ციის მუშაობა დამთავრდა. ეჭვს შეა, რომ ამ კონფერენციას საკ- სათ დიდი მნიშვნელობა ექნება ორც პარტიულ, ისე საბჭოთა შენებლობაში, ყველა მოხსენებას და უაღრესათ პრაქტიკული საქ- ობის ხასიათი. როგორც მომხსე- ები, ისე ორატორები ცდილობ- საკითხს მისდგომოდენ მხოლოდ მხოლოდ საქმიანობის მხრით. თან მეტათ დაწყნარებული, მე- ობიექტიური და სადი მსჯელო- მოწმობდა, რომ კონფერენციის ებს აინტერესებს მხოლოდ საქმე, ლოდ პარტიის და საბჭოთა ხე- უფლების გამარჯვება.

ნაირათ ეს კონფერენცია უტ- ი მაჩვენებელია იმის, რომ რო- ც პარტიამ, ისე საბჭოთა ხელი- ლებამ ჩვენში საკმარისათ დიდი ჯი გადადგა წინ, რომ საერთოთ თავი დავახწიეთ პირველ თვეებ- არსებულ გაურკვევლობას და ს, რომ უკვე გვაქვს საკმარისათ არი და მასთან ჩვენი საკუთარი ცდილება, რომელიც ჩვენ უნდა სწავლოთ, დავაფასოთ და გამო- ნოთ, რომ ამ გამოცდილებიდან ლოთ მხოლოდ ის, რაც სასარ- ოა და რასაც დადებითი ხასია- ქვს, და უარვყოთ ის, რაც მავნე- ია და რასაც უარყოფითი ხასია- აქვს.

რდა წმინდა ინფორმაციული ხა- ის მოხსენებისა **გენუის კონფე- ციაზე, სამხედრო თათბირის შე- ბ და სხ.**, კონფერენციამ მოის- მოხსენებები **ფინანსიური სა- თა შესახებ, ნატურ გადასახად- კოოპერაციაზე, პროფკავშირებ მუშაობაზე, პარტიულ აღმშე ობაზე და სხ.**

და აღვნიშნოთ, რომ მსჯელობის ამათის დროს ამ კითხვების ირ- ვ გამოაშკარავდა ბევრი ახალი ე, რაც მოითხოვს შესწორებებს ერთ წინეთ მიღებულ დებულე- ი, მაგ., კოოპერაციის საკითხში. ქმა უნდა, ამ შემთხვევაში ლა- კია არა პრინციპიალურ განსხვა- ზე, არამედ მარტოოდენ პრაქ- ულ მიდგომაზე ამა თუ იმ საკით- გადაჭრის დროს.

გრამ კონფერენციის უმთავრეს ცნელობას შეადგენდენ **მოხსენე- ადგილებიდან**. შეიძლება ით- კონფერენციის მთავარ ღერძს ედ ეს მოხსენებები შეადგენდენ. ინ გადაიშალა სურათი რესპუბ- ს მდგომარეობისა. მართალია, ურათი ვერ ჩაითვლება, როგორც ლი გამოხატულება ჩვენი სინამ- ისა, ის მეტათ მკრთალი გამო- ლებაა ამ სინამდვილის. მაგრამ ედავათ ამისა, ეს მოხსენებები ვ მეტათ საყურადღებო და საინ- სო მასალას იძლევიან როგორც სალიტ, სახელმწიფოებრივ მუ- ს სარე[illegible] ულმოდგ. ოვლისა, უნდა აღინიშ- **ადგილობრივ მომუშავე ძალე- ნაკლებობა და სისუსტე**, არის ლები, სადაც ცოტათ თუ ბევ- მომზადებული ძალები თითქმის ლებით არ მოიპოვებიან. ამას თან ვის სახსარის, ნივთიერ საშუალე- უქონლობა, უქონლობა აგრეთვე რის, ანუ გადასაზიდავ საშუალე- რის გამო სამაზრო ცენტრი მოწ- ილია ადგილებიდან და თავის ზე ვერ ახერხებენ ვერც გადასვ- ვერ ცნობების მიწოდებას და სხვ ველივე ამას ემატება **მოწყვე- რესპუბლიკის ცენტრიდან**, გა- ბის და წიგნების (ლიტერატუ- მიუღებლობა თავის დროზე. ამ მოებას გამოუწვევია ზოგიერთ ინციალურ ცენტრებში თავისი არი გაზეთების (კვირეული) გამოცემა. თავის თავათ, რა თქმა უნდა, ეს მოსაწონი საქმეა, მაგრამ აშკარაა, რომ პროვინციალური გაზეთები ოდნავადაც ვერ შესძლებენ ცენტრალურ გამოცემების ადგილი დაიჭირონ, ამიტომ საჭიროა, ერთ ხელ და სამუდამოთ მოწესრიგდეს ტფილისიდან პროვინციაში გაზეთების თავის დროზე მიწოდება. ერთხელ კიდევ ვაცხადებ ამას იმ ორგანოების საყურადღებოთ, რომელთაც ამ საქმის მოგვარება აქვს დაკისრებული.

ყველა მომხსენებლები ადგილებიდან ხაზგასმით აღნიშნავდენ აგრეთვე **ქართულ ენაზე ლიტერატურის უქონლობას** ერთი მხრით და **პარტიულ სკოლების მოწყობის** აუცილებელ საჭიროებას მეორე მხრით. ყველაფერი ეს სრული ჭეშმარიტებაა, და აქ მაზრები უძლური არიან რაიმე მოაწესრიგონ, თუ ამას ცენტრი არ მოკიდებს ხელს. გამოცდილებამ, ცოცხალმა საქმემ და პრაქტიკამ ჩვენი მომუშავეები ადგილებში დაარწმუნა იმაში, რომ სიტყვების ხანა წავიდა, რომ მიტინგების დრო წარსულს ეკუთვნის, რომ ჩვენ ახლა მივადექით პრაქტიკულ მუშაობას, სადაც საჭიროა ცოდნა გამოცდილება და შესწავლა. ამ მხრით ყველა მოხსენებები მეტად საგულისხმიერო იყვენ; მაგრამ განსაკუთრებითი ყურადღების ღირსი იყო ამხ. **გიორგაძის** (გორის მაზრა) მოხსენება. მან აღნიშნა სრულიად ახალი მოვლენა—**დიფერენციაცია გლეხკაცობისა**,—რაც ხდება სრულიად ბუნებრივად სახელმწიფო დახმარების მოწყობის ნიადაგზე. თესვის კამპანია, დამშეულთა დახმარების კამპანია და სხვ. პრაქტიკული საქმე რომელსაც დღეს აკეთებს საბჭოთა ხელის უფლება სოფლად განსაკუთრებით ღარიბი გლეხკაცობის სასარგებლოთ, ყოველივე ეს ისეთი ცოცხალი და თვალსაჩინო საქმეა, რომელიც ბუნებრივათ იზიდავს მშრომელ მასსას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ამხ. გიორგაძემ ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ სიღატაკემ და დამშევამ ერთ დროს ღატაკი გლეხები კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახადა შეძლებულ გლეხებთან, და ასე წარმოიდგინეთ ერთნაირი კავშირიც კი დაბადა მათ შორის, ვინაიდან უმწეო ღარიბი გლეხი ნივთიერათ დამოკიდებული შეიქნა მდიდარი და შეძლებული გლეხისაგან. მაგრამ ამ მავნე გარემოებას ბოლო მოუღო სახელმწიფო დახმარებამ როგორც თესვის, ისე შიმშილობის დროს; და აი გორის მაზრაში, ამხ. გიორგაძის სიტყვით, ჩვენ ვხედავთ ღარიბ გლეხების არათუ გამოყოფას, არამედ დარაზმვას ცალკე მდიდარ გლეხების წინააღმდეგ. მაგრამ საინტერესოა ის, რომ ეს არ მომხდარა ხელოვნურათ, ძალდატანებით.

ეს გარემოება უნდა მიიღონ მხედველობაში ყველა ამხანაგებმა და მას შესაფერი ანგარიში გაუწიონ თვით მაზრებში.

საერთოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლად ჩატარებულმა პარტიულმა კონფერენციამ ბევრი რამ ახალი მოგვცა, ბევრი ახალი წინადადები წამოაყენა გადასაწყვეტათ ცხოვრებაში გასატარებლათ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის ღრმა კვალს დააჩნევს ჩვენ აწმყო და მომავალ მუშაობაში, და მისი შედეგი მეტათ ნაყოფიერი გამოდგება.

დასასრულ უნდა აღვნიშნო **ის მტკიცე ერთსულოვნება**, რომლითაც დაიწყო და ჩატარდა ეს კონფერენცია და რომელიც სამაგალითოდ უნდა გახდეს ყველა მომავალი კონფერენციებისა და ყრილობებისათვის.

ფ. მახარაძე.

ფაშისტები

ოდესაც იტალიაში მუშებმა დაი- ფაბრიკები, მთავრობამ ვერ ა გამოეყვანა მათ წინააღმდეგ იარაღებული ძალა. მაშინდელ პი- ბში ეს შეიძლებოდა დასაწყი- დ ნამდვილი აჯანყებისა. რეაქცი- მა პრესამ ზომიერი ტონი აიღო. მხოლოდ სტრიქონების შორის ლებოდა ერთი რამის ამოკითხვა: ანთავისუფლებენ თუ არა მუშე- კავებულ ფაბრიკებს, დაუბრუ- თუ არა მათ კვლავ ძველ მე- უთრეებს? დღითი-დღე ეს შეადგენდა მათი წერილების ლეიტ-მოტივს, სანამ არ მოვიდა სასიხარულო ცნობა: „მუშები ანთავისუფლებენ ფაბრიკებსო“.

მაგრამ შიში ყოველთვის იწვევს შურისძიებას. ფაშიზმი შეიჭრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შინაური ბრძოლა ძველადგანვე დამახასიათებელი თვისება იყო იტალიისა. ყოველ ეპოქაში ეს ხალხი აწარმოებდა პატარ-პატარა ბრძოლებს და ვიწრო ქუჩებში, მაღალ შენობებსა და მოლუშულ მოედნებზე ფაშისტები მოგვაგონებენ მე-15 საუკუნის ლანდსკნეხტებს.

ომის დასრულების შემდეგ, ცოტა-ლა შეიძლება ჩამოვთვალოთ ისეთი კვირეები, როდესაც არ ხდებოდა ამგვარი შეტაკებანი, რომელნიც სტოვებდენ ქუჩებზე დაჭრილ დახოცილებს. ყველა დიდ ქალაქებში ამ ნახევარ—კუნძულზე ხდებოდა კონფლიქტები კათოლიკებსა და სოციალისტებსა, მუშებსა და ჟანდარმერიის, „წითელ“ მხედართა და პოლიციელებს შორის.

ხოლო ამ სამოქალაქო ომისათვის მიზანშეწონილობის ხასიათის მიღების უპირატესობა ეკუთვნის ფაშისტებს.

ეს სწორედ წესიერად წარმოებული ბრძოლაა. ფაშისტები, რომელნიც პირველად გამოჩნდენ ფასშიოს რაიონში, დასაწყისში წარმოადგენდენ პატარა ნაციონალურ ორგანიზაციას, რომელიც შესდგებოდა „არდიტებისაგან“—ბნელი წარსულის მქონებელ პირთაგან, რომელნიც ფრონტზე აწარმოებდენ ყველაზე უფრო სახიფათო და სასტიკ ექსპედიციებს. პირველ ხანებში მათი მოქმედება უმნიშვნელო იყო, რადგანაც ისინი კმაყოფილდებოდენ სოციალისტებზე ინდივიდუალური თავდასხმებით. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მუშებმა 1920 წლის სექტემბერში ხელში ჩაიგდეს ფაბრიკები, ჩვენ ვხდებით ფაშისტების რეგულიარულ ბანდებს. ათასი ახალგაზრდობა ეწერება ამ ნამდვილ საომარ ერთეულებში. მათი მოთხოვნილების თანახმად საბარგო ავტომობილებს გადაყავთ ისინი ერთი ქალაქიდან მეორეში. მათ აჭმევენ და აცვამენ, აწოდებენ იარაღს და ხელით სასროლ ყუმბარებს, აძლევენ მათ საშუალებას ყოველივე საჭირო საგანი თავისთან იქონიონ, რომ ცეცხლი გაუჩინონ რომელიმე შენობას, ან და მთელ უბანს. მათ შეხვდებით ქუჩებზე რიგრიგათ ჩამწკრივებულთ, სამხედრო ნაბიჯით, აფრიალებული დროშებით, ბრძანების შემსრულებელთ ისევე, როგორც ჯარის-კაცებს. ეს ხალხი სტოვებს ისეთ კმაყოფილების შთაბეჭდილებას, თითქოს ბოლოს და ბოლოს მათ იპოვეს სამუშევარი, ბევრია მათში პატივმოყვარე შვილები ჩასუქებული ბურჟუაზიისა, მრავალია ქალები და ხშირათ შეხვდებით მათში ჭაღარა შემოსილ მოხუცებსაც კი. უკან მათ მისდევს დიდის ხმაურობით ავტომობილი. ეს არის „დამსჯელი ექსპედიციის“ გამოსვლა, რადგანაც მოსჩანს ჰოგრები, ქვაბები ნავთით ავსებული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ყველანი მიემგზავრებიან სადღაც ცეცხლის გასაჩენათ.

მათ ყველგან შეხვდებით და 10 ფაშისტს შეუძლია ისეთი აურზაური შექმნას, რომელსაც ვერ მოაწყობს 100 ჩვეულებრივი მოქალაქე. როგორც უპარტიომ ამ სოციალურ ბრძოლაში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბანდებს ვერავინ გაუსწრებს წინ სიმკაცრეში. მათი მეთოდია—ძალმომრეობა; მათ არავითარი პოლიტიკური პროგრამა არა აქვთ. როზგებით დასჯა მათის აზრით—ყველაზე უფრო „მსუბუქი“ სასჯელია. ძალიან გავრცელებულია მათ შორის ჩვეულება აიძულონ მთელი ქუჩა მიესალმოს მათ დროშებს, ქუდები მოიხადონ მათი დროშების წინ, გააჩერონ და გაჩხრიკონ გამვლელ გამვლელნი და თუ მათ შეხვდათ მუშის წიგნაკის მქონე მოქალაქე, მას დაუყონებლივ სცემენ ამ წიგნაკის გულისათვის, თავდაყირა აბრუნებენ ტრამვაის ვაგონებს და ქუჩებზე აწყობენ ბარიკადებს. აი ამ ბრძოლის სუროები. მაგრამ ფაშისტების უმთავრესი გეგმა, სოციალური საკითხის გადაწყვეტის საშვალებას ისინი ხედავენ იმაში, რომ ცეცხლითა და მახვილით გაანადგურონ „მუშათა კლუბები“ იტალიის ყველა დიდ თუ პატარა ქალაქებში.

მაგრამ წინდაწინვე უნდა ითქვას თუ რას წარმოადგენს იტალიის მუშებისათვის ეს „მუშათა კლუბები“. დიდი ტანჯვა წამებით აშენებულ-მოწყობილნი, ისინი გახდენ სოციალიზმის ტაძრებათ მთელ სახელმწიფოში. მათ კედლებთან არის დაკავშირებული ნაციონალური სიამაყე და ეროვნული არსება. აქ, გარდა იმ დარბაზების, სადაც იმართება კრებები, ჩვეულებრივად მოწყობილია საზეიმო და სადღესასწაულო ზალები, ბუფეტის ოთახი და ხშირად აქვე შეხვდებით პატარა თეატრებსაც.

ფაშისტები ყოველ წუთს, გინდა დღე გინდა ღამე, იმყოფებიან საბარგო ავტომობილებზე, გადმოსხდებიან ნაციონალური ჰიმნის მღერით და იკრიბებიან მუშათა კლუბის წინ. შენობის ერთი მხრიდან ისინი აწარმოებენ ყალბ თავდასხმას იმ დროს, როდესაც მეორე მხრივ ისინი აწყობენ ნამდვილ იერიშს. ქუჩებიდან ისინი სარდაფებში სავსებით გულცივად ასხამენ ნავთს და ისვრიან შიგ ანთებულ ჩირაღდნებს. მჭიდროთ დაკეტილ კარებს ესვრიან ხელის ყუმბარებს, ხოლო შენობის დამცველები კი უტევენ მათ სროლას ფანჯრებიდან და სახურავიდან. პირველ დღეებში, როდესაც ჯარებიც ფაშისტებთან ხელი ხელ ჩაკიდებულნი „მუშაობდენ“, ხშირად ხდებოდა, რომ კარების პირველი ჩანგრევა სწარმოებდა ზარბაზნების სროლით. თავდამსხმელები ანადგურებენ ყოველივეს, რაც კი მათ ხელში მოხვდებათ, ხოლო ყოველგვარ დოკუმენტებსა და ქაღალდებს კი ისინი აგროვებენ და მიაქვთ თან, ჩქარა მთელი შენობა ცეცხლის ალში ეხვევა, ხოლო ფაშისტების ნაწილი მას გარს ეხვევა და ხელს უშლის ცეცხლის ჩაქრობას. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჰორიზონტზე გამოჩნდება პოლიცია კომუნისტების დასაჭერათ, რომლებსაც არც არავინ მოუკლავთ და არც არავინ დაუჭრიათ, მაგრამ იჭერენ მათ... იარაღის ტარებისათვის, რაც აგრე აკრძალულია კულტურულ სახელმწიფოში.

ამის შემდეგ იწყება მთელი ახლო მდებარე რაიონის ტერორი. ფაშისტები აქვეყნებენ ბრძანებას, რომლის ძალითაც ყველა დუქნები დაუყონებლივ უნდა დაიკეტოს და ყველა ფანჯრებზე გადმოკიდებული იქნეს ნაციონალური დროშა. და ყველა ასრულებს ამ ბრძანებას, რადგან ეშინიათ ამ „გმირების“. ცოტა ხნის შემდეგ იწყება საერთო გაფიცვა: აღარ არის ელექტრონის სინათლე, ტრამვაი და რკინის გზა ჩერდება, ხოლო მეორე დღიდან ქალაქის ახლო მდებარე სოფლების გლეხობა აცხადებს ქალაქის ბლოკადას. ქალაქში ცხოვრება კვდება. გაზეთები აღარ გამოდის. მსწრაფლ ქრება საზოგადოებრივი აზრი. ასეთი საშინელი მდგომარეობა გრძელდება სამი დღე. თუ კი გამოირკვა ვისიმე წევრობა რომელიმე მტრულად განწყობილი პარტიისა, მას დაუყონებლივ ასალმებენ წუთისოფელს ფაშისტები, რომელნიც იმდენათ თავგასული და გულახდილი არიან, რომ გაზეთებში აქვეყნებენ იმ პირთა სიას, რომელთაც მათ მიერ სიკვდილით დასჯა აქვთ გადაწყვეტილი. და ისინი ასრულებენ თავის სიტყვას, განაჩენი სისრულეში მოყავთ. და იტალიის ამ ახალი ხელისუფლების ავტომობილებიც საშინელის სისწრაფით დარბიან ვიწრო ქუჩებზე მაღალ შენობათა შორის. ფლორენციაში მომხდარი არეულობის დროს, როდესაც არმიაც ფაშისტებს ეხმარებოდა, 4 დღის განმავლობაში ქუჩებზე ნამდვილი ომი სწარმოებდა. სან-ერიდიანოს მათხოვრების რაიონში აღმართული იყო მაღალი ბარიკადები და ხშირად შეხვდებოდით მუშა ქალებს რომელთაც ერთ ხელში ეპყრათ ძუძუმწოვარა ბავშვი, ხოლო მეორე ხელით კი ისროდენ ფანჯრებიდან ხელის ყუმბარებს. ახლო-მახლო მიდამოებში გაკეთებული იყო ნამდვილი თხრილები, რომლის აღებაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ არტილერიით. ბევრი ავტომობილები ფაშისტებისა დაკავებულ იქნენ გზებზე, ხოლო მათი კომანდა კი ამოხოცილი გლეხობის მიერ.

მაგრამ, რა ზომებს იღებს სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მოვალეა დაიცვას საზოგადოებრივი სიმშვიდე და წესიერება, ასეთ ტერორის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება მთელ მის არსებობას? პირველად მთავრობას მჭიდრო კავშირი ქონდა ფაშისტებთან. ფასშიოს, მილანის და ტურინის ლითონის მრეწველთ კავშირი ქონდა გაბმული უმაღლეს მთავრობის სფეროებთან. ლიბერალური და ინტელიგენტური ბურჟუაზია გაკვირვებული იყო როდესაც ხედავდა, რომ პოლიცია, ჟანდარმერია და ჯარები წესიერებას იცავენ ბანდიტებისა და ამ ცეცხლის წამკიდებელთა სასარგებლოდ. ხშირად ეს სწარმოებდა აშკარა ცინიკურად. იუსტიციაც ტრაღიკულად იჭერდა თავს. ფაშისტების მიერ ჩადენილი მკვლელობანი რჩებოდენ დაუსჯელად, ხოლო კომუნისტებს კი დაუყონებლივ აძლევდენ პასუხისგებაში. და ეს ლიბერალური და ინტელიგენტური ბურჟუაზია შიშით ხელებს ზეცისკენ იშვერდა უყურებდა რა კანონის ამგვარად უხეშად დარღვევას, რადგანაც ის, რომელიც დამშვიდებით ხვდებოდა რომელიმე სოციალისტის მკვლელობის, ამგვარი ამბების შედეგად მოელოდა არა მხოლოთ რევოლუციას, რომლის წინაშე იგი ძრწოდა, არამედ საერთო სისხლიან ანარქიას.

ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა რამოდენიმე თვის განმავლობაში. ამ ჟამად იტალიაში პოლიტიკური მდგომარეობა ცოტათი უფრო დამშვიდდა, რადგანაც ახალი მთავრობა, რომელიც ეყრდნობა სახალხო პარტიას იძულებული გახდება დაიცვას „პოპულიარი“ (სახალხო პარტია), ვინაიდან ფაშისტებს ის თავის მტრად მიაჩნიათ. ახლა შეტაკება ხდება ფაშისტებსა და ჟანდარმერიის შორის. ახლა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ფაშიზმის დღეები დათვლილია, რადგან მას იმასთანაც კი ვინც იგი წარმოშვა, უხდება ლაპარაკი მუქარისა და ძალმომრეობის ენაზე. მაგრამ მისი არსებობა ჯერ კიდევ ამაგრებს ევროპის რეაქციის ტონს, ვინაიდან იგი დამატებაა ჰუნგრეთის, გერმანიის, ისპანიის თეთრი ბანდებისა და ფაშისტებიც არიან გაბედული და ძლიერი მასწავლებლები თეთრი ტერორისა. ხოლო იტალია კი წარმოადგენს იმ ქვეყანას, რომელიც ყველაზე უფრო ახლო სდგას მომავალ რევოლიუციასთან.

„როტე ფანე“.

საქართველოს კომპარტიის პირველი კონფერენცია

სამხრეთ ოსეთში

ოლქის პარტორგანიზაციას ყავს 47 იაჩეიკა, რომელშიც ირიცხება 936 წევრი და 240 კანდიდატი. მათ შორის თითქმის ნახევარმა არ იცის წერა კითხვა.

ერთი მეორის დაშორებით ცხოვრება და სიმშილობა ძალიან უშლის ხელს მუშაობას, მაგრამ მიუხედავათ ამისა ივნისში გაიმართა შვიდი შაბათობა, რომელსაც დაესწრო 247 ამხანაგი.

ჩატარებულ იქნა მუშაობა ყანების დამუშავებისა, გზების შეკეთებისა და ხე-ტყის სახერხი ქარხნის საფუძვლის ჩაყრისა.

მთელ ოლქში მოწყობილ იქნა მრავალი მიტინგები და კრებები.

მოსმენილ იქნა მოხსენებები ერთიან მუშათა ფრონტის, დამშეულთა დახმარებისა და სხვა საკითხებზე. საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა მოიკოჭლებს ლიტერატურისა და ფულის უქონლობის გამო. საჭიროა ინსტრუქტორების შტატის გადიდება ადგილობრივ იაჩეიკების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ოლქში ბევრია დამშეული, მაგრამ მიღებულ 12 ვაგონი სათესლე მასალის წყალობით, შეძლება მოგვეცა მიწების ნაწილის დათესისა. მოსავალი საერთოდ კარგია. კოხმა განაადგურა 500 დესიატინა მიწამდის.

ახალქალაქის მაზრა.

პარტიის სამაზრო კომიტეტის უმთავრეს მიზანს შეადგენდა გლეხობაში პარტიის გავლენის გამტკიცება.

ამ მიზნით ყველა მთავარ სოფლებში მოწყობილ იქნა [illegible]კები, რომელშიდაც შევიდა ულარიბესი გლეხობა. ივნისში იაჩეიკების რიცხვი ავიდა 19 ლის, რომელსაც 350 წევრი ყავს. იაჩეიკების მუშაობას ხელმძღვანელობს სამაზრო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სათანადო რაიკომების საშვალებით.

იაჩეიკების მუშაობის გაცხოველების წყალობით თანდათან იზრდება მათი გავლენა ამდენხანს ბოლოში მყოფ გლეხობის შორის.

თვით ქალაქში მუშაობა უმთავრესად სწარმოებს პოლიტ-განათლების ლიკვიდაციის გარშემო პარტიის წევრთა და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრთა შორის.

ამავე მიზნისათვის მოეწყო პოლიტ-წრე კომუნისტურ ახალგაზრდობის წევრთათვის და კომუნისტური პარტიის მოუმზადებელი წევრებისათვის. შედარებით უფრო მომზადებულთათვის არსებობს მარქსისტული წრე.

წრეები წარმატებით მუშაობენ და მათი მუშაობის კარგი შედეგები უკვე მოსჩანს.

ამ ჟამად იხსნება რამოდენიმე სკოლა მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

ძალიან მწვავეთ ვგრძნობთ ფულისა და დახმარების ნაკლებობას.

კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის მუშაობა სწარმოებს პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით.

ქალთა განყოფილება მუშაობს სუსტად, რადგანაც მცხოვრებლების უმრავლესობა მაჰმადიანებია, ხოლო ინსტრუქტორი მუსლიმანი ქალი არა გვყავს.

საბჭოთა მუშაობა სწარმოებს პარტკომის ხელმძღვანელობით. სასურსათო გადასახადის კამპანია ძალიან კარგად დამთავრდა და შესრულებული იქნა დავალების 80 პროც. ასევე კარგად ჩატარდა თესვის კამპანია.

მომუშავეენი მაზრაში ძლიერ ცოტაა და ეს ძალიან აბრკოლებს მუშაობას.

როგორ მოჰკლეს ამხ. ვოლოდარსკი

(ნაწყვეტი სემიონოვის მემუარებიდან)

სემიონოვს თავის მოგონებაში სოციალისტ-რევ. პარტიის მოღვაწეობის შესახებ მოჰყავს ვოლოდარსკის მკვლელობის დაწვრილებითი ცნობები.

„ც. კ. მიუთითა მე, რომ პეტროგრადში პარტიის უფრო გამოჩენილ პირებად ის სთვლის ზინოვიევს და ვოლოდარსკის, რომლებიც ყველაზე ადრე უნდა იქნენ თავიდან მოცილებული.

ჩვენი ტერორისტები იზიარებდნენ ამის შეხედულების მიზან-შეწონილობას.

სამხედრო კომისიაში ტერორისტული მუშაობის მკაცრი წინააღმდეგი იყო ლესპერი. ის ფიქრობდა, რომ ბოლშევიკების—ამ სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის ეს მეთოდი დაუშვებელია, და რომ ჩვენ მათ უნდა ვებრძოლოთ მხოლოდ, მასიურ გამოსვლათა ორგანიზაციების საშუალებით.

მე შევუდექი ცენტრალურ ტერორისტულ რაზმის ორგანიზაციის მოწყობას, რომელშიაც შევიდენ ფედოროვი, სერგეევი, უსოვი, ზელენკოვი, კონოპლიოვა და ივანოვა. დავიწყეთ თვალყურის დევნება ზინოვიევის და ვოლოდარსკის საცხოვრებელი ბინის მოსანახად, თუ სად იმყოფებიან ისინი ხშირად, აქტის უფრო მოსახერხებელ ადგილის შესარჩევად. თვალყურს ვადევნებდით მე და ფედოროვი. გადავწყვიტეთ გვემოქმედნა რევოლვერებით და არა ბომბით; ჩვენ დაუშვებლად ვსთვლიდით რომ ტერორისტული აქტის შესრულების დროს აღმოჩენილიყო უდანაშაულო მსხვერპლი. ფედოროვი, სერგეევი, ზელენკოვი და უსოვი გულმოდგინეთ ვარჯიშობდნენ (ტყეში) რევოლვერის სროლაში. დასახულ მკვლელობის შემსრულებლად მე ვფიქრობდი, დამენიშნა სერგეევი და ფედოროვი (საჭიროდ ვთვლიდი ამ საქმეში მუშის მონაწილეობას). საუკეთესოდ მე ვსთვლიდი სერგეევს. ჩვენ ვფიქრობდით საქმე მოგვეწყო ისე, რომ თავდამსხმელს შესძლებოდა მიმალვა, და ვირჩევდით შესაფერ ადგილს სადმე ქალაქის განაპირას. ვოლოდარსკი ხშირად დადიოდა მიტინგებზე—ობუხოვის, პუტილოვის ქარხნებში, ქალაქს გარეთ. ზინოვიევი უმთავრესად იმყოფებოდა სმოლნში, მიტინგებზე იშვიათად. ჩვენ გადავსწყვიტეთ, რომ ტეხნიკური მიზეზების გამო უფრო ადვილია ვოლოდარსკის მოკვლა, და შეთანხმებაც პირველ რიგში მას დაუპირდაპირეთ.

გადავსწყვიტეთ, გაგვეჩერებინა პეტროგრადიდან ორეხოვის ქარხნისკენ მიმავალი, ვოლოდარსკ ავტომობილი. ავარჩიეთ ამისთვის სამლოცველოსთან გზის მოსახვევზე საკმაოდ მიყრუებული ადგილი. იმ მიზნით, რომ გაგვეჩერებინა ავტომობილი, გადავსწყვიტეთ დაგვეყარა გზაზე დამტვრეული მინები და ლურსმები და ამით გაგვეფუჭებია შინები, ან დაგვეგდო ავტომობილის წინ სასროლი ბომბი.

ზინოვიევის თვალყურის დევნებას განვაგრძობდით ჯერ კონკრეტიული გეგმის დაუსახველად. ერთ და იმავე დროს ჩვენ ვაწარმოებდით ურიცკის ძებნას, ვსთვლიდით რა საჭიროთ მის მოკვლასაც. ურიცკის თვალყურის დევნებას ეწეოდა ჩვენი დავალებით კონოპლიოვა, რომელმაც ამისათვის დაიქირავა ოთახი მისი ბინის პირდაპირ. შემდეგ ჩვენ დავისახეთ ლენინისა და ტროცკის მოკვლა. ამისათვის როდესაც უმთავრესი სამზადისი მუშაობა ვოლოდარსკიზე შეთქმულებისათვის ასე თუ ისე მოგვარებული იყო, გაგზავნილი იქნენ მოსკოვს გვოზდი, ზელენკოვი და უსოვი; მოსკოვში მუშაობის ხელმძღვანელად დანიშნულ იქმნა გვოზდი.

როდესაც ჩვენ ვოლოდარსკიზე თავდასხმის ტეხნიკა ვსცანით საკმაოთ მომზადებულად, მე მივმართე გოცს შეკითხვით, სთვლის თუ არა ცეკა საჭიროდ დავიწყოთ დაუყოვნებლივ მოქმედება. გოცმა ცეკას სახელით წინადადება მომცა მე დამეცადა ცოტა ხნით. რისთვის იყო საჭირო ეს ცოტა ხნით მოცდა, რა უნდა შეცვლილიყო ახლო მომავალში,—ეს ჩემთვის გამოურკვეველი დარჩა. მე გამოვიტანე გოცთან საუბრიდან განსაზღვრული შთაბეჭდილება, რომ ცეკას აკლია უკანასკნელი პრაქტიკული გამბედაობა, როგორც ეს ხშირად ემართებოდა ცეკას, გადამწყვეტ მომენტებში.

გოცთან საუბრის მეორე დღეს სერგეევმა, რომელიც მიდიოდა დასათვალიერებლად, თუ როგორ გაივლიდა ავტომობილით ვოლოდარსკი იმ ადგილას, რომელიც ჩვენ ამოვარჩიეთ, მომცა მე შეკითხვა: როგორ მოიქცეს იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება მეტად ხელსაყრელი პირობა ვოლოდარსკის მოკვლისათვის?

მე ვუპასუხე, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა იმოქმედო მეთქი.

იმ დღეს ვოლოდარსკის ავტომობილი, გამოურკვეველ მიზეზების გამო გაჩერდა ჩვენ მიერ ამორჩეულ ადგილის მახლობლად, იმ დროს, როცა იქ იყო სერგეევი. შოფერმა დაიწყო რაღაცას გასწორება. ვოლოდარსკი ჩამოვიდა ავტომობილიდან და წავიდა სერგეევისაკენ. გარშემო არავინ იყო. შორს იშვიათი მგზავრები მიმოდიოდნენ. სერგეევმა რამდენჯერმე გაისროლა სამი ნაბიჯის მანძილზე, მოჰკლა ვოლოდარსკი და გაიქცა.

სროლის ხმაზე შეგროვილი ხალხი დაედევნა სერგეევს. იმან გადააგდო ინგლისის სამხედრო ნიმუშის ბომბა. აფეთქების გამო მდევნელები დაიბნენ. სერგეევი გადაევლო ღობეს, შეუხვია შესახვევში, გადავიდა მდინარეზე და მიიმალა.

ნახევარი დღე იმალებოდა ფედოროვის ბინაზე, ორი დღე—მორაჩევსკის ბინაზე. შემდეგ მე იგი გავგზავნე მოსკოვში.

სერგეევი მუშა, მღებავია, რომელმაც ბევრი ტანჯვა გამოიარა ცხოვრებაში მეტად მძიმე მატერიალურ მდგომარეობის გამო. რევოლიუციამდე იგი იყო ანარქისტი, შედიოდა პეტროგრადის ანარქისტულ ჯგუფში. რევოლიუციის შემდეგ შევიდა ესერების პარტიაში; მაშინ ის იყო 30 წლისა. პატარა, შეუმჩნეველი ადამიანი, ლამაზის სულის პატრონი, შეუმჩნეველ გმირებიდან, რომელსაც ქონდა თავდადების უნარი. მასში მუდამ ღვივოდა სურვილი გაეკეთებია რამე დიდი საქმე რევოლიუციისათვის. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ბოლშევიკები აკეთებდენ რევოლიუციის დამღუპველ საქმეს.

რაბინოვიჩმა ცეკას სახელით გამომიცხადა, რომ მე არ მქონდა უფლება მომეხდინა რაიმე აქტი ცეკას ნამდვილი სანქციის გარეშე, ვინაიდან ცეკამ მომცა წინადადება დამეცადა. (ცეკას წევრები კონსპირატიული მოსაზრებით გაურბოდენ ჩემთან შეხვედრას)

ესერების მუშათა წრეებში, მათ შორის, რომელიც საჭიროდ სთვლიდენ ტერორისტულ ბრძოლას, ფიქრობდენ, რომ ეს აქტი—არის პარტიის საქმე და გაფაციცებით მოელოდენ პარტიის აშკარა განკარგულებას ამის შესახებ. ცეკა დაიბნა და შეშინდა, რათა არ გამომჟღავნებულიყო ვინ იყო მომხდარ ამბებში დამნაშავე, და პარტია არ ყოფილიყო დარბეული. ამის გამო (ჩემის თვალსაზრისით—სწორედ ამის გამო) მკვლელობის მეორე დილით გაზეთში იყო ცეკას კატეგორიული განცხადება, რომ არც პარტიას და არც რომელიმე მის ორგანიზაციას არავითარი დამოკიდებულება მომხდარ ამბებთან არ აქვთ. ცეკა მოითხოვდა ჩვენ დაუყოვნებელ გამგზავრებას მოსკოვში. მე აღშფოთებული ვიყავი ცეკას საქციელით—და ვსთვლიდი აუცილებლად, რომ პარტიას აშკარად განეცხადებია, რომ ვოლოდარსკის მკვლელობა არის მისი საქმე. ამასვე ფიქრობდა ჩემი ცენტრალური მებრძოლი ჯგუფიც. პარტიის უარი ჩადენილ აქტზე იყო ჩვენთვის დიდი მორალური [illegible] მდგომარეობა [illegible] საშინელი.

საქართველოს [illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

გერმანიის ამბები

რატენაუს მკვლელი აღმოაჩინეს.

რომი. 29 ივნისი (რადიო) მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ რატენაუს მკვლელი აღმოაჩინეს და მოელიან მის შეპყრობას.

ვირტი—გარეშე საქმეთა მინისტრი.

რომი. 29 ივნისი (რადიო). ვირტმა მიიღო თავის თავზე გერმანიის საგარეო პოლიტიკის წარმოება.

საალყო წესები ბერლინში.

კრაუდენი. 29 ივნისი. (რადიო). ებერტის ბერლინში დაბრუნებისთანავე ხელმოწერილ იქმნა დეკრეტი, ბერლინში და მის მიდამოებში საალყო წესების შემოღების შესახებ.

იგივე დეკრეტი გულისხმობს იმ განსაკუთრებულ ზომების მიღებას, რაიც საჭიროა განსაკუთრებულ პირობებში, რომელშიაც გერმანია იმყოფება, ამ ღონისძიებათა მიზანია დაიცვას რესპუბლიკა კონტრ-რევოლიუციის თავდასხმისაგან. დადგენილია, რომ პრესაში მანარქიის სასარგებლოდ გამოსვლისათვის დამნაშავე დაისჯება დაპატიმრებით 5 წლით და მეტით. იუსტიციის მინისტრმა როდბრუხმა განაცხადა, რომ დეკრეტი მიმართულია მხოლოდ მემარჯვენე პარტიების წინააღმდეგ.

გაზ. „დეთჩე ტაგებლატის“ დახურვა.

ნაუენი. 29 (ივნისი). უკიდურესი ნაციონალისტური გაზეთი „დეითჩე ტაკებლატი“ დაიხურა.

დაპატიმრება.

ნაუენი. 29 ივნისი (რადიო). რატენაუს მკვლელობის გამო ბერლინში დაპატიმრებანი გრძელდება. დაპატიმრებანი მოხდება აგრეთვე სამხრეთ გერმანიაშიც.

მანარქისტების სიმშვიდე.

ნაუენი. 29 ივნისი. (რადიო). ბავარიის მთავრობა გაურბის ჯერ-ჯერობით სასწრაფო ზომების მიღებას რატენაუს მკვლელობის გამო.

ნაციონალისტები პროტესტს აცხადებენ.

ნაუენი. 29 ივნისი (რადიო). გერმანიის ნაციონალისტური პრესა პროტესტს აცხადებს იმ ეჭვების წინააღმდეგ თითქოს მას წილი უდევს რატენაუს მკვლელობაში.

ვისი რიგია.

ბორდო. 29 ივნისი (რადიო). რატენაუს დედა ღებულობს შეურაცხოფის ღია და დახურულ ბარათებს. მიუხენში ბრბომ ჩამოგლიჯა ნაციონალისტების ბინის შესავალში გამოკრული წარწერა, რომელიც ამბობდა: „რატენაუ მოკვდა, მაგრამ ებერტი, შეიდემანი და ვირტი ჯერ კიდევ ცოცხლები არიან“.

პუანკარეს აზრი რატენაუს შესახებ

ნაუენი. 29 ივნისი (რადიო). პუანკარემ განუცხადა იტალიის კორესპონდენტებს: „რომ არ ყოფილიყო რატენაუ საფრანგეთს და გერმანიის შორის არ იქნებოდა დადებული არსებული შეთანხმება, რომელიც ზედმეტად ხდის სანქციის რეჟიმს“.

მოსკოვი. 28 ივნისი (რადიო). ლონდონიდან იტყობინებიან: ყველა გაზეთები სავსეა ცნობებით რატენაუს მკვლელობის შესახებ. კონსერვატიული პრესა მწუხარებას გამოსთქვამს რატენაუს, როგორც ნიჭიერ მოღვაწ. სიკვდილის შესახებ. გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ ფიქრობს, რომ რატენაუს ერთად ერთი შეცდომა არის რაპალოს ხელშეკრულების დადება. გაზ. „მორნინგ პოსტი“ ხედავს რატენაუს სიკვდილში მანარქიზმის ზრდას და ევროპის მშვიდობიანობის საფრთხეს და დაჟინებით აღნიშნავს ინგლისსა და საფრანგეთის კავშირის აუცილებლობას.

ლიბერალური პრესა ფიქრობს, რომ სანამ ვერსალის ხელშეკრულება დარჩება ძალაში, გერმანია არ იქნება დაშვებული ხალხთა ლიგაში, და რომ ასეთი ამბები, როგორც რატენაუს მკვლელობაა, აუცილებელია.

— ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, პროფკავშირების ლეიპციგის კონგრესმა ესდეკების ბერლინის ორგანიზაციასთან შეთანხმებით დაადგინა გამოაცხადოს რატენაუს დაკრძალვის დღეს საყოველთაო გაფიცვა 24 საათის განმავლობაში.

— ბერლინში გაიმართა გრანდიოზული საპროტესტო მანიფესტაცია რატენაუს მკვლელობის წინააღმდეგ, რომელიც მოაწყეს რესპუბლიკანურმა და სოციალისტურმა პარტიებმა. დაახლოვებით 20 სოციალისტური ორატორები სამარცხვინო დაღს ასვამდენ მემარჯვენეთა ვერაგულ წაქეზებას და მოითხოვდენ მონარქიულ მოხელეების შეცვლას რესპუბლიკანელებით.

— იუსტიციის მინისტრმა განაცხადა რეისტაგში, რომ მემარჯვენეთა აგიტაცია გაბედულად იქნება დევნილი, ვირტმა განაცხადა, რომ გადამწყვეტი ბრძოლის ჟამს მთავრობა იქნება მშრომელთა მხარეზე. შეეხო რა შემდეგ მოკავშირეთა პოლიტიკას ვირტმა აღნიშნა, რომ გერმანია მომთმენია, მაგრამ მოთმინების ფიალა შეიძლება აივსოს, თუ რეპარაციული პრობლემა არ გადასწყდება საკეთილდღეოთ და გონივრულად. ვირტის დეკლარაციას მხარი დაუჭირეს უმრავლესითა სოციალისტებმა და დემოკრატებმა. სახალხო პარტიამ ხმის მიცემის დროს თავი შეიკავა.

— ცნობას, რატენაუს ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ, ინგლისში დიდი მწუხარებით შეხვდენ გაზ, „ობსერვერი“ აცხადებს, რომ რატენაუზე უკეთესად არავის შეეძლო მოეგვარებინა რთული ეკონომიური და საქმიანი ხასიათის საკითხები. გერმანიისათვის ადვილი არ იქნება გამოძებნოს ასეთი მსხვილი მოღვაწის სამაგიერო პირი ქვეყნის ორგანიზაციის ასეთ კრიტიკულ მომენტში. მოკავშირეები დიდად სწუხან მათ ყოფილი მტერის სიკვდილის გამო, რომელიც გულწრფელად ისწრაფოდა მშვიდობიანობისა და ევროპასთან თანამშრომლობისაკენ.

— გამოვიდა რა პარლამენტში ლოიდ ჯორჯმა გამოსთქვა ღრმა წუხარება რატენაუს აღმაშფოთებელ მკვლელობის გამო, რომელიც იყო ერთი უნიჭიერესი მინისტრი ევროპაში, რომელიც სცდილობდა გერმანიის ნორმალური ერთიერთობის აღდგენას სხვა ქვეყნებთან, რისთვისაც იგი იქმნა მოკლული.

შემდეგ პრემიერი შეეხო ნაციათა ლიგას, რომელიც უკეთესად მოაგვარებდა თავის ამოცანებს თუ რომ დაუშვებდა ლიგაში გერმანიას. ინგლისი მზადაა მხარი დაუჭიროს გერმანიის ნაციათა ლიგაში დაშვებას. ლოიდ ჯორჯის სიტყვით სასურველია ლიგაში იყოს დაშვებული აგრეთვე რუსეთიც, როდესაც ის გონზე მოვა.

ლეიტენანტ კრულლის დაპატიმრება.

ნაუენი. 29 ივნისი (რადიო). ბერლინში რატენაუს მკვლელობასთან დაკავშირებით დააპატიმრეს ლეიტენანტი კრულლი, რომელიც თავის დროზე პასუხისგებაში იყო მიცემული როზა ლუქსემბურგის მოკვლის საქმის გამო.

სისხლის მღვრელი შეტაკებანი.

ნაუენი. 29 ივნისი (რადიო). დარმშტადში მოხდა რამოდენიმე სისხლის მღვრელი შეტაკება. ბრბომ დაანგრია ორი რედაქციის შენობა. პოლიციამ ბრბოს წინააღმდეგ იარაღი იხმარა. უკანასკნელი ცნობების მიხედვით მოკლულია 3 და დაჭრილია 35 კაცი. ამ გვარივე არეულობანი უფრო მცირე მასშტაბით მოხდა კარლსბადში.

მუშებისა და სტუდენტების შეტაკება.

ნაუენი. 29 ივნისი (რადიო). ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, მიუხედავად იმისა, რომ რექტორმა აკრძალა რატენაუს დაკრძალვის დღეს ლექციების კითხვა, პროფესორ ლენგარდმა წაიკითხა ლექცია. შუადღისას მას თავს დაესხნენ მუშები. სტუდენტებმა მუშებს ქვები დაუშინეს. ლენგარდი და მისი მომხრეები დაატუსაღეს.

საეჭვო ავტომობილი.

ნაუენი. 29 ივნისი (რადიო). პოლიციამ დააკავა პროვინციაში და ჩამოიტანა ბერლინში საეჭვო ავტომობილი, რომელიც შოფერს დაეტოვებია გარაჟში რამდენიმე დღის განმავლობაში. ფიქრობენ, რომ ეს სწორედ ის ავტომობილია, საიდანაც ესროლეს რატენაუს.

დატუსაღებანი ბერლინში.

ნაუენი. 29 ივნისი. (რადიო). ბერლინში სწარმოებს დიდი ჩხრეკა-დაპატიმრება.

გერმანიის პრემიერების კრება.

ნაუენი. 29 ივნისი. (რადიო). გერმანიის კაბინეტმა წინადადება მისცა გერმანიის სახელმწიფოთა პრემიერებს, ჩამოვიდნენ ბერლინში მთელ რიგ საერთო საკითხების გამოსარკვევად.

გერმანია და ერთა ლიგა.

ნაუენი. 29 ივნისი. (რადიო). გაზ „დეილი ნიუსი“ ეხება რა ლოიდ-ჯორჯის განცხადებას გერმანიის ერთა ლიგაში მიღების შესახებ, ამბობს, რომ არ არის საკმარისი გერმანიის იმავ პირობებში დაყენება, როგორიც ალბანიის, ან და ესტონიის, საჭიროა გერმანია გახადონ ერთა ლიგის ნამდვილ წევრად.

ჰააგის კონფერენციის გარშემო

საფინანსო მოღვაწეები.

მოსკოვი. 28 ივნისი. (რადიო) ჰააგის გაზეთები იუწყებიან ჰააგაში თვალსაჩინო საფინანსო მოღვაწეების მისვლის შესახებ, რომლებიც დაინტერესებული არიან ნავთის საკითხით, სხვათა შორის, ჟოლონდა ბეილი.

სესხის ქვე კომისიაში.

მოსკოვი. 29 ივნისი (რადიო). სესხთა ქვე-კომისიაში მოსმენილნი იქნენ რუსეთის დელეგატები. ქვე კომისიის თავმჯდომარემ წინადადება მისცა ლიტვინოვს წარმოედგინა რუსეთის აღდგენის გეგმა. ლიტვინოვმა მოითხოვა იმ მთავრობების წინასწარი რწმუნება, რომელნიც წარმოდგენილნი არიან ჰააგაში, საბჭოთა მთავრობისათვის სესხის გაცემის შესახებ. საფრანგეთის წარმომადგენელმა ჩამოაყალიბა საკითხი (გამოტოვებულია).—განაცხადა, რომ ინგლისი თანახმა იქნება აღუთქვას იმ სესხის გარანტიები, რომელსაც მისცემენ კერძო პირები, თუ საბჭოთა მთავრობა მისცემს გარანტიას და თუ სამი კომისიის მუშაობა წარმატებით გათავდება.

რუსეთის დელეგატების ჩამოსვლა.

რომი. 29 ივნისი (რადიო). გუშინ ჩამოვიდა ჰააგაში საბჭოთა დელეგატების პირველი ჯგუფი ლიტვინოვის მეთაურობით.

მოკლედ და მკაფიოდ.

ბორდო. 29 ივნისი (რადიო). გაზ. „მატენში“ გამოქვეყნებულია ლიტვინოვის განცხადება ჰააგაში. იმან სთქვა „არ იქნება ფული რუსეთისათვის—არ მოხდება განხილვა იმ პრინციპებისა, რომელიც მისთვის მისაღებია“.

რუსეთის პოზიცია.

რომი. 29 ივნისი (რადიო). ლიტვინოვმა განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაცია ჰააგაში დაიცავს იმავე პოზიციას, რომელსაც ის ადგა გენუაში. ლიტვინოვი დაბეჯითებით მოითხოვს რუსეთისათვის სესხის გაცემას, რასაც მისი აზრით შეუძლია გადასჭრას საკითხი რუსეთთან შეთანხმების შესახებ.

ესერების პროცესი

ესერების ცეკას მოქმედება სარატოვში.

მოსკოვი 29 ივნისი (რადიო). 28 ივნისის დილის სხდომაზე ირკვევოდა ესერების ცეკას მოღვაწეობა სარატოვში. დაეკითხენ ბრალდებულ ოლხოვსკის, რომელიც მოუთხრობს სასამართლოს ისეთ ფაქტების შესახებ, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს საქმესთან. მას მოყავს ცალკე ანეკდოტები და ვრცლად ლაპარაკობს აგრარულ საკითხის შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ თავმჯდომარემ მრავალჯერ მოუწოდა მას ელაპარაკა საქმეზე, ბრალდებული მაინც განაგრძობს თავისებურად ჩვენების მიცემას და ფრთხილად გაურბის არსებითი პასუხის გაცემას. ბრალდებულის დაკითხვით შესაძლებელი გახდა მხოლოდ ზოგიერთი ფაქტების გამორკვევა. პირველი ინფორმაცია რომელიც ჩამოიტანეს ვოლგის მხრის დელეგატებმა ესერების პარტიისამ, მე 8 ყრილობაზე თავ ანთი პარტიისა, გახდა საფუძველი პარტიის მე-8 ყრილობისათვის მიეღო გადაწყვეტილება საბჭოთა ხელისუფლების წინ აღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისა და ვოლგის მხრის ფრონტის შექმნის შესახებ. ვოლგის სხრის საოლქო კომიტეტს კავშირი ქონდა ურალის ფრონტთან. ვოლგის საოლქო კომიტეტს დამოკიდებულება ქონდა აგრეთვე სამარის ფრონტთან, სამარის ესერულ მთავრობასთან, რომელიც მათთან ერთად მუშაობდა. ესერების ორგანიზაციის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ჩეხოსლოვაკიის უშედეგო აჯანყებაში.

დონსკოი, რომელმაც შეცვალა ოლხოვსკი სარატოვში, თავის ჩვენებაში სცდილობს დაამტკიცოს, რომ ფაქტიურად სამხედრო მუშაობა არ სწარმოებდა, რომ აქ იყო მხოლოდ მოსაზრებანი და განზრახვები. ვოლგის აჯანყება არ მოუწყვიათ ესერებს, მაგრამ შემდეგ ესერები სცდილობდენ დახმარებოდენ აჯანყებულებს. სარატოვში არეულობის მოხდენის ცდას თავი დაანებეს ესერებმა, რადგანაც დამფუძნებელი კრების სახალხო არმია სარატოვის მიმართულებით აწარმოებდა შეტევას. სარატოვის ესერები კმაყოფილდებოდენ სამარის ამხანაგებისათვის დახმარების აღმოჩენით, რომელთაც გამოსთქვეს სურვილი გადაეყვანათ ფრონტზე პარტიული სამხედრო მუშაკები (საერთო პოლიტიკური და სამხედრო ინფორმაციით. მუშაობის ჩამლის საკითხი სარატოვის ორგანიზაციაში არ ყოფილა დასმული. ამ თემაზე სწარმოებდა მხოლოდ საერთო სჯა ბაასი.

კრილენკოს შეკითხვებმა და დაშევსკისა და დონსკოის პასუხებმა გამოაშკარავეს პიკანტური ისტორია იმის შესახებ, თუ ესერებმა თავისი პარტიული იაჩეიკების საშუალებით, მოსკოვის საფრანგეთის მისიის თხოვნით, როგორ გადაიყვანეს ფრონტზე სერბიის ელჩი. ოლხოვსკი ამტკიცებდა, რომ მას არავითარი ელჩი არ გადაუყვანია, რომ მან გადაიყვანა მხოლოდ სამი სერბიელი ოფიცერი.

ბრალდებულ დაშევსკის ჩვენება.

ესერების პარტიის სარატოვში ფაქტიური მუშაობის მდგომარეობის შესახებ, ჩვენებას იძლევა ბრალდებული დაშევსკი, რომელიც ამბობს, რომ სარატოვი უნდა გამხდარიყო ცენტრად შესაძლებელი აჯანყებისა. უმთავრეს მიზნებს უსახავდენ აჯანყებულ ურალის კაზაკობას. იმ დროს, როდესაც დაშევსკი ჩავიდა სარატოვში, ესერების პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის სულიერი განწყობილება, მთელ რიგ გლეხთა აჯანყების დამარცხების გამო, ერთგვარად დაეცა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა იქიდან წამოსული დონსკოი არ აძლევდა დაშევსკის რაიმე დირექტივებს მუშაობის მსვლელობის გეზის შეცვლის შესახებ. სამხედრო მუშაობას ხელმძღვანელობდა უსტინოვი, რომელსაც პოლკოვნიკ ბრედიხინის საშვალებით მოდიოდა ცნობები ფრონტზე მყოფი არმიის შესახებ. ამ პოლკოვნიკს ხინდობილი ქონდა ორი ცხენოსანი პოლკოვნიკის შედგენა. მთელი მუშაობა ჩაიფუშა, რადგან სამხედრო კონტროლმა მიაგნო კვალს (დამახინჯებულია)... ბრედიხინმა მოასწრო გაქცევა მე 4 არმიის შტაბის ნაცნობების წყალობით.

მემარცხენე ესერების პროცესი

მოსკოვი. 29 ივნისი (რადიო). 27 ივნისს უზენაესს ტრიბუნალის სესიაში დაიწყო მემარცხენე ესერების პროცესი, რომელთაც ბრალს სდებენ კონტრ რევოლიუციონურ პროპაგანდაში.

წითელ რესპუბლიკებში

საბჭოთა რუსეთში.

სამხედრო კოოპერატივი.

მოსკოვი. 28 ივნისი (რადიო). ცენტრალურ კავშირის სამხედრო კოოპერატივის განყოფილების შუამდგომლობით სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა გადავიდეს სამხედრო კოოპერატივის განკარგულებაში ყოფ. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მთელი ქონება.

დავალიანება სამუშაო ქირით.

მოსკოვი. 28 ივნისი (რადიო). შრომის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით, სახალხო კომისარიატის საბჭომ მიიღო დადგენილება გასცენ ფულის ფონდი მიმდინარე ნახევარი წლის სამუშაო ქირის დასაფარავად. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება მიენდო უმაღლეს სატრიფო საბჭოს.

ნიჟნი-გორდის ბაზრობა.

მოსკოვი. 28 ივნისი (რადიო). ნიჟნ-გოროდის საგუბერნიო სამეურნეო სახალხო საბჭო ბაზრობის გახსნისათვის აწყობს ბიუროს ნედლი მასალების შესასყიდათ. ბაზრობის კომიტეტში მიდის პაკეტები მსხვილ სავაჭრო ფირმებიდან და ორგანიზაციებიდან, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ბაზრობაში. ბაზრობაში მონაწილეობენ უკრაინის, კავკასიის, სიბირის, თურქესტანის და ბუხარის მსხვილი ფირმები.

მოწოდება საზღვარ გარეთ მყოფ კაზაკებისადმი.

მოსკოვი. 28 ივნისი (რადიო) გაზ. „კრასნოე ზნამია“-ში, რომელიც გამოდის კრასნოდარში მოთავსებულია წერილები დონის და კუბანის უმაღლეს წრის ყოფილ თავმჯდომარის ტიმოშენკოს და კუბანის შრომის „რადის“ ყოფ. თავმჯდომარის ამხანაგის კოვიცკის, რომელშიდაც მოუწოდებენ საზღვარ გარეთ მყოფ კაზაკებს დაბრუნდნენ სახლში და შეურიგდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. მოწოდებაში ხაზგასმულია აუცილებლობა შეთანხმებული მუშაობის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის.

სამშობლოსაკენ.

მოსკოვი. 28 ივნისი (რადიო). 26 ივნისს კიევში მოვიდა ახალი პარტია თეთრი არმიის მონაწილეების, რომლებზედაც ვრცელდება ამნისტია. დაბრუნებულების სიტყვებით, დონის კაზაკების მნიშვნელოვან ჯგუფს გნილორიბოვის მეთაურობით, განზრახვა აქვთ დაბრუნდნენ საბჭოთა რუსეთში. ამ ჯგუფმა მიმართა მოწოდებით საზღვარ-გარეთ მყოფ კაზაკობას, რომელშიდაც აღნიშნულია, რომ ვრანგელის და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები რეპრესიებით ემუქრებიან კაზაკებს, რომელთაც სურთ რუსეთში დაბრუნება. განსაკუთრებული აგიტაცია რუსეთში დაბრუნების საწინააღმდეგოთ სწარმოებს პოლონეთის ბანაკებში. საბჭოთა რუსეთის და მისს თანამგრძნობ გაზეთებს ამ ბანაკებში არ უშვებენ.

პერიოდიული პრესა.

მოსკოვი. 28 ივნისი (რადიო). კიევში ახლო მომავალში გამოვა სამი ახალი ყოველ დღიური გამოცემა.

რუსეთ სპარსეთის დამოკიდებულება.

მოსკოვი, 29 ივნისი (რადიო). მოსკოვში ჩამოსულმა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სპარსეთში, რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს თანამშრომელს რუსეთ-სპარსეთის დამოკიდებულების შესახებ შემდეგი აცნობა: „როდესაც შარშან რუსეთის საელჩო გავიდა სპარსეთში, ამ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა უნუგეშო იყო. ხელისუფლება იყო ერთ პატარა პირთა ჯგუფთა ხელში, რომელიც ემორჩილებოდა ინგლისელების სურვილებს. სპარსეთის ეკონომიური მდგომარეობა არანაკლებ უნუგეშო იყო. რუსეთისადმი დამოკიდებულება პირდაპირ მოსაკვდინებელი იყო. მაგრამ საელჩოს მეგობრულად შეხვდენ სპარსეთის მუშათა მასები, რომელნიც არჩეულნი იყვნენ მეჯლისში, ინგლისის გავლენა თანდათან სუსტდება და გაუქმებული იქნა ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულები და რუსეთის რევოლიუციის პრესტიჟი ამაღლდა. ამ ჟამად მოსკოვში დაიწყო მოლაპარაკება სპარსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც ორივე მხარეს მოუტანს სარგებლობას.

„სმენავეხოვცების“ მოხსენება.

მოსკოვი 20 ივნისი (რადიო). 27 ივნისს, მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში წაკითხულ იქნა მოხსენებები „სმენავეხოვცების“ კლიუჩნიკოვის და პატოხინის მიერ. მოხსენებების თემა: თეთრგვარდიელთა ემიგრაციის დაქსაქსვა და „სმენავეხოვცების“ მიმდინარეობის ზრდა ემიგრანტთა შორის.

საბჭოთა რუსეთის კანონები.

მოსკოვი 29 ივნისი (რადიო). ბელორუსიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება საბჭოთა რუსეთის სისხლის სამართლის კანონების კოდექსის და ბრალდებულთა და ვექილთა დებულების ცხოვრებაში გატარების შესახებ, ბელორუსიის პირობებთან შეფარდებით.

არჩევნები თბილისის საბჭოშ

რკინის გზის მილიცია

რკინის გზის მილიციის და სადარაჯოს საერთო კრებაზე არჩეულ იქნენ ქალაქის საბჭოში: კოქლაშვილი ვასილი, ბუჟანოვი გრიგოლი, ზასლავსკი ვლადიმერი, ლონლაძე.

რკინის გზის საავადმყოფო და სხვ.

რკინის გზის საავადმყო, რკინის გზათა სამმართველოს ჯანმრთელობის განყოფილების და საპრო სახელოსნო მუშა-მოსამსახურეთ ერთო კრებაზე, რომელსაც და 400 კაცი არჩეული იქნენ ქა საბჭოში: ლოლობერიძე, გა პარქაშვილი, შავერდოვი.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნო ქ. საბჭოს არჩევნების ანგარიში დომით ნაჩვენებია „გორდელაძ ვანი“ უნდა იყოს—მიროტაძე ვანი.

კაპიტალიზმის სამეფოებშ

იტალია.

შანცერის და ლოიდ-ჯორჯის შეხვედრის გამო.

რომი. 29 ივნისი (რადიო). იტალიის პრესა აღნიშნავს იმ გულითად შეხვედრას, რომელიც გაუმართეს შანცერს ლონდონში, და დასძენს, რომ მინისტრის პიროვნების გარდა, ასეთი მიღების მიზეზია აგრეთვე იტალიის პოლიტიკური ხაზი და რომელიც მან მიიღო უკანასკნელ საერთაშორისო კონფერენციებზე.

შანცერის თათბირი ბალფურთან.

ბორდო. 29 ივნ. (რადიო). „ტან“-ის ცნობით შანცერს ორშაბათს ჰქონდა თათბირი ბალფურთან პალესტინის საკითხზე, სამხრეთ აფრიკაში იტალია-ინგლისის საზღვრების და აგრეთვე ეგვიპტეში იტალიის ახალშენის შესახებ.

ინგლისი.

ინგლისი და საფრანგეთი.

ბორდო. 29 ივნისი (რადიო). ბალფურმა განაცხადა, რომ ინგლის საფრანგეთის შეთანხმება, რომელიც შესდგა კანაში, წარმოადგენს ეხლახან წარმოებულ მოლაპარაკებათა საგანს.

ნდობა მთავრობას.

რომი. 29 ივნისი (რადიო). თემთა პალატაში მინისტრ ჩერჩილის სიტყვის შემდეგ, რომელიც ეხებოდა ირლანდიის ამბებს და ირლანდიის საკითხში მთავრობის პოლიტიკას, პალატამ 134 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 74 სა უარყო მთავრობისადმი უნდობლობის ფორმულა.

ამერიკა არ ძალუძთ შეარიგონ.

ბორდო. 29 ივნისი (რადიო) პრეზიდენტ ჰარდინგის და მემალაროეთა ფედერაციის თავმჯდომარის ნ თათბირის შემდეგ, შინაგან ს დეპარტამენტის მდივანმა დ განაცხადა, რომ მეპატრონეების მუშების შერიგების ცდა უნაყ დამთავრდა.

არაბების აჯანყების ჩაქრობ

რომი. 29 ივნისი (რადიო) ტრ ლიტანიაში იტალიის ჯარებმა კავეს ადგილების მთელი რიგ უკუაგდეს აჯანყებული არაბები.

ირლანდიის საკითხი.

მოსკოვი 29 ივნისი (რადიო) შინ ინგლისის პარლამენტში თავრდა კამათი ირლანდიის ს ხის გარშემო. დიდი ხმის უმრა სობით წინააღმდეგ 75 ხმისა რობას განუცხადეს ნდობა. ლ ჯორჯმა განაცხადა, რომ ირლან ხელშეკრულება არ არის (დამახ ბულია) . . ლოიდ ჯორჯმა დაჰკარგა ირლანდიის პარლამ მოქმედებ. გამო რომლებმაც გამო დაუშვებელი სისუსტე, რომე საჭიროა ბოლო მოეღოს.

რუმინია.

კომუნისტების პროცესი.

ბორდო 29 ივნისი (რადიო). ქარესტში დასრულდა კომუნის პროცესი, რომელსაც დასჭირდა სხდომა. გოლდშტეინს მიუსაჯეს მუდმივი კატორღა. დანარჩენი ნისტებს სხვა და სხვა ვადით პატიმრება: 1 თვიდან 10 წლ რამოდენიმე პირი გაამართლეს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

წითელ-არმიელების ნათესი. პარტკომის დავალებით მიწადმოქ. სახ. კომისარიატი შეუდგა თესვის ორგანიზაციას, რომელიც უნდა მოხდეს ბათუმის გამაგრებულ რაიონის წითელ არმიელების შრომით. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი უთმობს ამ მიზნისთვის მიწებს კინტრიშის რაიონში, ყოფილ რომანოვკის ახლოს მდებარე ადგილს. მთელი მოსავალი ამ მიწებიდან გადავა იმ სამხედრო ნაწილების განკარგულებაში, რომელნიც დაიმუშავებს და დასთესს ამ მიწებს.

სოფელ ხურვალეთში. ქალ. ბათომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ მისცა 600 ფუთი სიმინდი ხურვალეთის საზოგადოებას იმ პირობით, რომ ერთი თვის შემდეგ მან დაუბრუნოს განყოფილებას ამდენივე ფუთი ქერი. სოფელი ხურვალეთი შესდგება 70 კომლისაგან. როგორც კი გაიგეს მეზობელ სოფლებმა რომ ხურვალეთმა მიიღო სიმინდი. თავი მოიყარა დაახლოებით 5000 კაცმა, და მიმართეს ბათომიდან სიმინდის დანაწილების შესახებ თვალყურის სადევნებლად გამოგზავნილ ამხანაგს მაღალოვს თხოვნით რომ მათთვისაც გაენაწილებია ეს სიმინდი სიმშილის სურათი საშინელებას წარმოადგენდა. მშიერი ბავშვები მივარდენ ტომრებთან, ღლეტდენ მათ, მუჭებით მოჰქონდათ სიმინდი, და ამ სანახაობით დარეტიანებული ხურვალეთლებმა იქვე გადასწყვიტეს დაიტოვონ 400 ფუთი სიმინდი დანარჩენი 200 ფუთი დაურიგონ მეზობელ სოფლებს. მთელი სოფელი შეიკრიბა და გამოსთქვა ღრმა მადლობა ბათომის კომუნალურ მეურნეობისადმი მისი მხურვალე თანაგრძნობისათვის. ხურვალეთლებმა აღუთქვეს მოსავლის აკრების შემდეგ შეასრულონ თავიანთი პირობა.

ბათომი.

თურქესტანის წარმომადგენლობა. ჩამოვიდა ბათომის სააგენტოში ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედ ციაში თურქესტანის სრულუფლ ნი ეკონომიური წარმომადგენ ლ. ე. მოსტმანის მეთაურობით.

პარტახტიანი სახადი. ჯანმრთ ბის დაცვის სახ. კომისარიატის ტისტიკური ქვე-განყოფილება ბინება. შემდეგ ცნობებს პარტ ანი სახადის ეპიდემიის მსვლელ შესახებ: 4-დან 11 ივნისამდე ავად სულ 28, განიკურნა 26, დაიცვალა 9. თუ შევადარებ კვირას წინანდელთან უნდა აღ ნოს დაავადმყოფოებათა რიც ძლიერი შემცირება შემდეგი კვ განმავლობაში 11 დან 17 ივნის მიღებული იქნა ახალი დაავადმყ ბულნი 28, განიკურნა 37, გარ ცვალა 6. 21 ივნისისთვის 1 საბ საავადმყოფოში იყო 30 ავადმ საეპიდემიო ბარაკში 21.

ახალსენაკი.

ელექტროფიკაცია. მუშაობა ქა ქის ელექტროფიკაციისთვის ამ ებში დასრულდება.

ახალციხის მაზრა.

დახმარება დამშეულებს. მა და ივნისის განმავლობაში დამშ თა დახმარების სამაზრო კომი მოაწყო წარმოდგენების და შე რულებათა აკრეფის მთელი რი რომელმაც მოგვცა 150 მილიონ მან. ამას გარდა შემოვიდა შე რულებანი სხვა და სხვა ორგა ციებიდან და კერძო პირებისა ნატურით 60 მილ. მანეთამდე ღი ბულების. მსხვილი შემოწირუ შემოვიდა სამაზრო ალმასკომებიდ 120 ფუთი ქართოფილი და 116 თი ლობიო.

სომხეთი.

ერევანი. 26 ივნისი (რადიო). **ჩეკთა მართლმსაჯულება.** სომხ საგანგებო კომისიის კოლეგის ს მაზე განხილულ იქნა ბანდიტებ კონტრრევოლიუციონური ორგა ციის წევრის საак ზახარიანის დადგენილ იქნა: ძარცვის მთ დამნაშავენი აკაკი (გვარი ღამახ ბულია), მარტიროსიანს, გურგენ

რძოლა სიმშილობასთან

დახმარება გორის მაზრის დამშეულებს

ამხმარე გორის კომიტეტმა მი- საქართველოს დამშეულთა და- ების მთავარ კომიტეტისაგან და მიწათმოქმედების სახალხო კომისა- ტისაგან 16,545 ფუთი 2 გირ. ნდი და ქვავი, ამერიკის კომი- ისაგან—4,822 ფუთი 12 გირ. კომიტეტმა მიიღო დასანაწილად 21307 ფუთი და 14 გირ. ტეტმა ალმასკომის უშუალო როლს ქვეშ დაანაწილა მიღებუ- სიმინდი და ქვავი მცხოვრებლე- ულარიბეს ნაწილზე საქართვე- დამშეულთა დახმარების მთავ. ტეტის და ამერიკის კომიტეტის რუქციის თანახმად. სულზე არი- ნ 20 გირვანქას, საშუალოდ უმეტეს 3 ფუთისა დამშეულ ზე. დღემდე დახმარება მიეცა თემს.

	სიმინდი	ამერ. ფქვილი	ქვავი
სკის თემს	600 ფ.	550 ფ.	390 ფ.
მხეთის	„ 25	„ 300	„ 100 „
ურის	„ 350	„ —	„ 210 „
ს	„ 380	„ —	„ 300 „
ელის	„ 680	„ —	„ 400 „
სის	„ 552	„ —	„ 183 „
ამის	„ 500	„ 380	„ 290 „
ისთავის	600	„ —	„ 200 „
ლსოფლის	400	„ —	„ 200 „
თუბნის	300	„ —	„ — „
რბის	150	„ —	„ — „
ავის	700	„ 720	„ 400 „
უდერის	600	„ —	„ 400 „
დის	386 ნახ.	300 „	30 „
ნიჩბის	350	„ —	„ — „
ახალქალაქის	350	„ 500	„ 400 „
ქვემო ჭალა	970	„ 851	„ 400 „
მეჯვრის ხევის	350	„ 300	„ 50 „
კასპის	400	„ —	„ 271 „
ქვაის ხევის	300	„ —	„ 300 „
გომის	390	„ —	„ 332 „
სადიხურის	320	„ —	„ 300 „
დოესის	—	„ 489	„ — „
გორის	745 ნახ.	812 12 გ.	395 „

ამერიკის კომიტეტის წარმომადგენელმა ადგილობრივ კომიტეტის წარმომადგენელთან ერთად მოიარეს სოფლები მათი მოთხოვნილების გამოსარკვევად. ამერიკის კომიტეტის წარმომადგენლებმა აღუთქვეს გორის მაზრისთვის კიდევ რამდენიმე ვაგონი პურის გამოგზავნა. გლეხების სულიერი განწყობილება მტკიცეა. თუმცა დახმარება მოთხოვნილებასთან შედარებით არ არის დიდი, მაგრამ ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობა მზრუნველობს მათზე და დახმარებას უწევს, ახდენს გლეხობაზე გამამხნევებელ შთაბეჭდილებას.

—

ახლო აღმოსავლეთში ამერიკის დამხმარე კომიტეტმა გადასდო საქართველოს დამშეულთათვის 22,000 ფუთი მუხუდო, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: ქუთაისის მაზრას—5,000 ფ., რაჭის მაზ.—4,000 ფ., ლეჩხუმის მაზრას—4,000 ფ., შორაპნის—4,000 ფ., და სამხრეთ რუსეთს—3,000 ფ. დანარჩენი 2,000 ფუთი გადაეცემა აღნიშნულ მაზრების ყველაზე უფრო დაზარალებულს რაიონს.

ანს და არამ ავაკიანს მიესაჯოს ლესი სასჯელი დახვრეტა. კონტრ- ვოლიუციონური ორგანიზაციის ვრს. სააკ ზახარიანს, რომელსაც ოტი მიზნით დამალული ქონდა ი ვინტოვკა და 60.000 ტყვია საჯოს დახვრეტა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში 23 ივნისს.

ძეგლები. სახალხო განათლების მისარიატის მიერ გამოცხადებულია კურსი შემდეგ ძეგლებზე; რომლე- უნდა იქნეს აგებული ერევანში: ოქალაქო ომის დროს დაღუპულ მუნისტებს—სტეფანე შაუმიანს, აელ ნალბანდიანს, ვაგან თერიანს, რიელ სუნდუკიანს, ხაჩატურ აბო- ნს, ლენინს და მარქს. პროექტები დგენილ უნდა იქნენ ამა წლის 1 კემბრამდე.

უნივერსალურ მაღაზიებში. სა- ხო სასურსათო კომისარიატის სა- ლმწიფო უნივერსალურ მაღაზიის რ მიღებულია დიდი პარტია ინჯის, თევზის, შაქრის, მანუფაქ- რის და სხ. მცხოვრებლებისთვის აყიდლად.

შირაქის მინდვრების მორწყვა. ექსანდროპოლიდან იტყობინებიან მაისის თარიღით: შეუდგნენ მდი- რე არპაჩაის ზედა პირის ასაწევად სამზადებელ მუშაობას შირაქის ნდვრების მოსარწყავად. ამ მუშაო- ს საჭიროებისთვის სახალხო სასურ- თო და სახალხო მიწად მოქმედების მისარიატების მიერ გაცემულია 10 გონი ფქვილი.

სეტყვა. სეტყვისაგან დაზარალებულია ერევანში ქალაქის ბოსტნები.

ერევანი. 27 ივნისი (რადიო). ბა- ბის ნაციონალიზაცია. სახალხო წად-მოქმედების კომისარიატის და- ლებით სპეციალურმა კომისიამ ორი რონომის და მუშათა და გლეხთა სპექციის წარმომადგენლის შემა- ენლობით დაათვალიერა 59 ნა- ონალიზაცია მოხდენილი ბაღი მა მდგომარეობის გამოსარკვევად. ციონალიზაცია მოხდენილ ბაღები, თავრესად ვენახები, დარიგებულია მდეგ რიგად: 12 გადაცემულია სა- ქსპლოატაციოთ საბჭოთა პირველ მეურნეო განყოფილებაზე; 9—საბ- თა პროფკავშირებზე; 4—სახელ- იფო ღვინის და კონიაკის ქარხა „არარატ“-ზე; ორ ორი—ერევნის მასკომს, სომხეთის კოოპერატივს, ხალხო სასურსათო კომისარიატს, იტანის სომხეთის დამხმარებელ სა- გადოებას; თითო—მიწად მოქმედე- ს სახალხო კომისარიატს, მუშათა გლეხთა ინსპექციას, საზოგადო- ებს „არორ“ და „აიგესტანს“; და- რჩენები გაქირავებულია კერძო პი- ებზე. კომისიამ აღმოაჩინა, რომ ულიად დამაკმაყოფილებელ მდგო- რეობაში იმყოფება მხოლოდ ბა- ები, რომლებითაც სარგებლობენ იტანის საზოგადოება, სომხეთის შათა მთლიანი კოოპერატივი, სა- ლმწიფო ქარხანა „არარატი“, საბ თა მეურნეობის ბაღებიდან—ერ- , სამი—პროფკავშირების ბაღები- ნ, და ყველა ბაღები. რომლებიც ერძო პირებზეა გაცემული, დანარ- ნი ბაღები იმყოფება ცუდ მდგომა- რეობაში სათანადოდ მოუვლელობის მო.

თავდასხმის ლიკვიდაცია. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა მიმართა სახალხო კომისართა საბჭოს თხოვნით, მიეცეს საჭირო საშუალება 30 ცხენოსანი მილიციის რაზმის შესადგენად არაქსის სანაპირო უბნებში ყაჩაღების ბრბოების მოქმედების სალიკვიდაციოდ.

პურის ნაკლებობა. პურის ნაკლებობის გამო ბაზარზე გაძლიერებულია პურის გამოცხობა მუშათა კოოპერატივში. პური გამოცხვება ქერიდან და თეთრი ფქვილიდან და გაიყიდება მუშათა კოოპერატივის ყველა მაღაზიებში მცხოვრებლებზე 200,000 მანეთად გირვანქა.

მილიციის გაწმენდა კარაკლისიდან იტყობინებიან, რომ გაწმენდა სამაზრო მილიციაში ჩატარდა წარმატებით. ახლანდელი სამაზრო მილიციის შემადგენლობა სავსებით შეეფერება თავის დანიშნულებას.

მთიელთა რესპუბლიკაში

ვლადიკავკაზი. 27 ივნისი. გროზნოში ნავთის მრეწველობის დასაცავად შესდგა სპეციალური მილიცია 500 კაცის შემადგენლობით.

ნავთის ამოღებამ გროზნოს ნავთის მრეწველობის მეხუთე ჯგუფზე გადააჭარბა ამოსაღებად განზრახულ 40 პროცენტით, მეორეზე 44 პროც.

17 ივნისს გაიხსნა გორის საოლქო პარტიული მეხუთე კონფერენცია. მოხსენება მთიელთა ს. ს. რესპუბლიკის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ გამოვიდა გიკალო.

მოხსენებაში გროზნოს ნავთის მრეწველობის შესახებ აღნიშნულ იქნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს 1920 წელში გროზნოს მრეწველობამ მოგვცა 63.500.000 ფუთი ნავთი, 1921—1922 წლის განმავლობაში ნავთის ამოღება გამოიხატა 87.000.000 მანეთის ჯამის რაოდენობაში, ანუ საშუალოდ 7,3 მილ. მან. თვიურად. შანდრევანული ამოღება შემცირდა საბურღავით ამოღება კი გაიზარდა. საბურავი იყო 70, ეხლა კი 170. ტრანსპორტის მდგომარეობა სამრეწველოებზე არა სასურველია. ყოველგვარი გადატანა ხდება ნელა, და ამიტომ ბევრი ქარხნები უმუშევრად დგანან და მათ შეკეთება აწარმოებენ. გროზნოს ნავთის პროდუქტების უძთავრესი მომხმარებლები არიან თურქესტანი, უკრაინა და ვლადიკავკავის რკინის გზა, ბენზინით კი იკვებება მთელი რუსეთი და ხდება მისი გატანა საზღვარ გარეთაც.

გამოვიდა პირველი ნომერი ყოველდღიურ გაზეთის „რაბოჩაია გაზეტა“, რომელსაც სცემს ვლადიკავკაზში პროფკავშირთა გორის საბჭო.

შესდგა მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო ბანკის სასურსათო საზ. კომისარ საოლქო პარტკომიტეტის თათბირი მთიელთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე პურის სესხის კამპანიის ჩატარების წესის შესახებ. თათბირმა დაადგინა ეთხოვოს ცენტრს ხვლის მოწერის ვადის გაგრძელებაზე.

1922 წლის 1 მესამედი ნაწილის განმავლობაში გროზნიდან გატანილია 15 მილ. ფუთი ნავთის პროდუქტები. გატანა აღწევს ომამდე არსებულ ნორმას.

* * *

ქრონიკა

◆ **საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებისაგან.** საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარ სამმართველოს მიერ კვირას, 2 ივლისს, დანიშნული წლიური კრება გადადებულია. კრების დანიშვნის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ **სამოსწავლო პროგრამა** ინდუსტრიალურ სასოფლო მეურნეობის ტეხნიკუმებისათვის მუშავდება პროფესიონალურ განათლების მთავარ განყოფილების მიერ.

◆ **პროფესიონალურ განათლების მთავარი განყოფილების ცირკულიარი.** სახალხო განათლების ყველა განყოფილებებიდან მოთხოვნილია ცნობები, მათ რაიონებში არსებულ ტეხნიკუმების რაოდენობის და მომავალ წლისათვის გასახსნელ ტეხნიკუმების რიცხვის შესახებ.

◆ **პროფესიონალურ სასწავლებლების გადაცემა.** განზრახულია პროფესიონალურ სასწავლებლების რიცხვიდან 4 გადაეცეს სახალხო განათლების განყოფილებას, ხოლო ერთი დასტოვონ მუშათა ფაკულტეტის სექტორში, როგორც სანიმუშო—საჩვენებელი.

◆ **მასწავლებელთა კონფერენცია.** სოციალური აღზრდის მთავარ განყოფილებას განზრახვა აქვს სამოსწავლო წლის დასაწყისში მოიწვიოს მასწავლებელთა კონფერენცია.

◆ **სანიტარული აგენტები.** სანიტარული აგენტების შესანახავად, რომელნიც დაიწყებენ მუშაობას 1 ლ ივლისიდან სანიტარული წესების გაფართოებისათვის, თბილისის ალმასკომმა გადასდო 60 მილიონი მანეთი თვიურად.

◆ **სანდრო მინდიაშვილის იუბილე.** მბეჭდავი სანდრო მინდიაშვილის 50 წლის იუბილეს გამო, ტფილისის ალმასკომმა გადასდო ათი მილიონი მანეთი.

◆ **მოთხოვნილება სახელმძღვანელოებზე.** სოციალური აღზრდის მთავარმა განყოფილებამ მისცა წინადადება სახალხო განათლების განყოფილებებს თავის დროზე წარმოადგინონ დაკვეთა სახელმძღვანელოების.

◆ **დაიკარგა** მანდატი № 8, მოცემული შორაპნის სამაზრო პარტკომისაგან რკვიის კომიაჩეიკის 3 მ. მდივნის დავით ნებიერიძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

◆ **სახალხო მუსიკის საღამო.** დღეს წითელ-არმიელთა კლუბში (ყოფილ ქართულ კლუბში) გაიმართება საინტერესო, ორიგინალური სახალხო მუსიკის საღამო—კონცერტი, მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდის მიერ. წაკითხულ იქნება მოხსენება „სახალხო მუსიკა“. 30 კაცისაგან შემდგარი გუნდი შეასრულებს სახალხო კილოებს გლეხის ცხოვრებიდან.

◆ **კიდევ ერთი მსხვერპლი ავტომობილის.** გუშინ დღით ხალხის გაცხოველებულ მოძრაობის დროს რუსთაველის პროსპექტზე ავტომობილი დაეჯახა გაზეთ „კომუნისტის“ კორექტორს ამხ ბაქრაძის ქალს, რომელიც წააქცია და დააზიანა. ავტომობილმა თავი ვერ შეიკავა და შევარდა დუქნის კარებში. დაზიანებული ქალი გაგზავნეს საავადმყოფოში.

საჭიროა თუ არა იქნეს მიღებული ზომები თბილისის შოფერების ხეპრულ საქციელის წინააღმდეგ.

◆ **თესვის კომიტეტების ყრილობის სხდომები** გაიმართება საოლქო სასამართლოს ყოფ. შენობაში. ყრილობაზე მოწვეულია წარმომადგენლები: გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის, სასურსათო სახალ. კომისარიატის. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, ცეკას, სრულიად საქართ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის, მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის განყოფილებების და ქვე-განყოფილებების.

◆ **1. გამასწორებელი სახლი.** (ყოფ. საგუბერნიო ციხე) დასჯილები (დაახლოვებით 1000 კაცი). მუშაობენ არსებულ სადურგლოებში, საზეინკლო და სხვა სახელოსნოებში. სამუშაო გასამრჯელოთ ტუსაღები, კუთვნილ ულუფას გარდა, ღებულობენ ნახევარ გირვანქა პურს და განსაზღვრულ პროცენტს ჯილდოს სახით, რომელსაც იძლევიან კერძო დამკვეთლები. გამასწორებელ სახლში მოიპოვება თეატრი და სამკითხველო.

თბილისის ქალაქის ფინანსები

(თბილისის ქალაქის აღმასკომის უკანასკნელ ანგარიშებიდან)

თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს რწმუნების ვადა უკვე გათავდა.

არჩეულია ახალი საბჭო, რომელიც იბარებს ქალაქს უთუოდ ბევრად უკეთეს პირობებში, ვიდრე ძველი საბჭო. ამ შემთხვევაში ინტერესებს მოკლებული არ იქნება გადავხედოთ განვლილ ხანას და თუნდაც მოკლეთ მაინც დავახასიათოთ ქალაქის ფინანსების განვითარება, როგორც ისეთი დარგის, რომელიც ეხება ქალაქის მეურნეობის ყველა დარგს. დავიწყოთ ქალაქის ბიუჯეტებიდან.

ქალაქის ბიუჯეტის ხასიათი.

ქალაქის აღმასკომის მეურნეობას და მის ბიუჯეტს აქვს წმინდა კლასობრივი ხასიათი. ქალაქ თბილისის ისტორიაში ამ მხრივ 1922 წლის ბიუჯეტი წარმოადგენს ისტორიულ ბიუჯეტს. პირველად, საბჭოთა ხელისუფლების დროს შედგენილია პროლეტარული ბიუჯეტი და პირველად, არსებულ წყობილების პირობებში ქალაქის მეურნეობა მოწყობილია მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის დაცვის საფუძვლებზე. ქმნის რა კლასიურ მეურნეობასა და კლასიურ ბიუჯეტს, ქალაქის აღმასკომი აძლევს საშუალებას საზოგადოების სხვა კლასებსაც—შეგუონ ახალ პირობებს პროლეტარული აღმშენებლობისას, არ უშლის რა მათ ხელს ჩაებას მუშურ მეურნეობასთან მეტოქეობაში. რომ ზერელე სიტყვით არავინ ჩამოგვართვას თბილისის ქალაქის აღმასკომის ბიუჯეტისა და მეურნეობის ამ გვარი დახასიათება, როგორც კლასიური მეურნეობისა და ბიუჯეტისა, ჩვენ მოვიყვანთ ძირითად დამახასიათებელ თვისებებს თბილისის ქალაქის აღმასკომის მუშური პოლიტიკიდან.

მიწის საკითხი

ყველაზე უფრო კარდინალური მოვლენა ამ მხრივ არის ეგრეთ წოდებულ, ქალაქის კომუნალური სამსახურისათვის ხარჯების გასტუმრების საკითხი. ამ სფეროში პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ თბილისის ქალაქის აღმასკომის სავალდებულო დადგენილებას ამა წლის 25 მარტის თარიღით, № 4. ამ დადგენილების ძალით მშრომელთა კატეგორია იხდის თითო ხის თვიურულ კვადრატულ არშინზე 1,000 მან., ე. ი. საშუალო ოთახზე—30 კვადრ. არშინ.—30 კ. ოქროთი, წინაომდეგ ომამდე არსებულ საშუალო ფასის 4 მანეთისა, სამაგიეროთ მცხოვრებთა არა მშრომელი ნაწილისათვის შემოღებულია ნებაყოფლობითი შეთანხმება სახლის მეპატრონესთან. რომ ქალაქის შეძლებულ ნაწილს არ ექნეს შესაძლებლობა მშრომელთა ექსპლოატაციისა თბილისის ქალაქის აღმასკომის განკარგულებაში გადარიცხულია 35 პროცენტი მთელი საცხოვრებელ ბინებისა. გარდა ამისა მოხდენილია მუნიციპალიზაცია საუკეთესო სახლებისა, რომელნიც მდებარეობენ ქალაქის ყველაზე უფრო ჯანმრთელ რაიონებში და ამ სახლებში ბინა ეძლევა უმთავრესად მშრომელებს და მათ ოჯახობას.

წყლით და ელექტრონით სარგებლობა.

შემდეგი სავალდებულო დადგენილება ამა წლის 5 აპრილის თარიღით, № 6 ეხება მუშების მიერ წყლითა და ელექტრონით სარგებლობის გადასახადს. ამ დადგენილებით შემოღებულია ერთიანი ტარიფი, რომელსაც ამასთან მხედველობაში აქვს არა მშრომელი ხალხის დაბეგვრა, არამედ მხოლოდ ის, რომ მუშა მოსამსახურის ზურგს უკან არ დაიმალონ არა მშრომელი ელემენტები. თფილისის ქალაქის აღმასკომმა გაავრცელა რა ერთიანი ტარიფი მუშებზედაც, გაანთავისუფლა მუშა მოსამსახურენი, პროფესიონალურ ორგანიზაციის წევრები, ამგვარ სამსახურის გადასახადისაგან ამა წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე 90 პროც., ხოლო 1 აპრილიდან კი მუშები ფაქტიურად თავისუფლდებიან ამ დანარჩენი 10 პროც. გადასახადისაგანაც, ვინაიდან „სამუშაო ხელფასი ყველა მუშებისა და მოსამსახურეებისა აპრილის თვიდან დიდდება კომუნალური სამსახურისათვის ხარჯების გასასტუმრებლად“. (დადგენ. № 5. შენიშვნა მუხლი მე-5)

ამ რიგათ ქალაქის აღმასკომის დადგენილებათა მიზანია უზრუნველყოს მუშებისათვის ბინა, წყალი და სინათლე. ამ დადგენილებათა ცხოვრებაში სათანადოთ გატარებისათვის, ქალაქის აღმასკომმა ამა წლის 17 მარტს გადასწყვიტა გადასცეს მუშათა ორგანიზაციებს, პროფ კავშირებს, მუშათა კოლექტივებს, მუნიციპალიზაცია მოხდენილებიდან საუკეთესო სახლები, მუშათა კეთილდღეობისათვის სავსებით გამოსაყენებლათ.

გადასახადები.

ასეთივე კლასიური პროლეტარული პოლიტიკაა გატარებული გადასახადების დარგშიც თბილისის ქალაქის აღმასკომის საფინანსო კომისიის ამა წლის 1 აპრილის დადგენილებით, შემოღებულია საავადმყოფო გადასახადი 50.000 მ. თვითეულ სულზე, მაგრამ მუშები და მოსამსახურენი, პროფკავშირების წევრები, სავსებით განთავისუფლებულნი არიან ამგვარ გადასახადისაგან; შემდეგ განზრახულია შემოღება გადასახადისა საავადმყოფოში, ბაღებსა და სკოლებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში სამსახურისათვის, მაგრამ მუშები ყველგან განთავისუფლებულნი არიან ამ გადასახადისაგან. დასასრულ მათ უფასოთ ეძლევათ საექიმო დახმარება და მედიკამენტები. მუშა ბავშვები, რომელნიც იძულებულნი გახდენ ლუკმა პურის შოვნისათვის დაეტოვებიათ სკოლები, ანგარიშზე არიან აყვანილნი და მათთვის მოწყობილია სკოლები და კლუბები. ჯერ ჯერობით ასეთ მუშა-ბავშვთა რიცხვი უდრის 767 სულს; ისინი დანაწილებულნი არიან ჯგუფებათ და სადამოობით მეცადინეობენ ერთიანი შრომის სკოლებში.

კომუნალური მეურნეობა.

სახლების გარდა ქალაქის გამგებლობაში აღმოჩნდენ საუკეთესო ბაღები და ბოსტნები ჩვენი განაპირა კუთხეებისა. ასეთ ბაღ ბოსტნების რიცხვი უდრის 218. აქედან 19 ბაღი. სივრცით 27 დესიატინისა, გადაეცა პროფ კავშირებს, 3—ერთიან მუშათა კოოპერატივს, 152—სხვა და სხვა მშრომელთა კოლექტივებს, 36—სკოლებსა და სხვა ორგანიზაციებს.

კოოპერატიული ორგანიზაციები, რომელნიც ნაწილობრივ ამაგრებენ მუშათა კლასის სიძლიერეს, სარგებლობენ ყოველგვარი დახმარებით. წარსული წლის 30 დეკემბრის დადგენილების ძალით კოოპერატივები სავსებით განთავისუფლებულნი არიან სადუქნო გადასახადისაგან, ხოლო დარაბებისათვის, ამა წლის 15 აპრილის დადგენილებით, იხდიან ქალაქის სასარგებლოდ 50 პროც. ერთიან მუშათა კოოპერატივს გადაეცა ქალაქის აღმასკომის და მოსკოვის არტელის ყველა სასურსათო მარაგი, რომლის ღირებულებაც აღემატება მილიარდ მანეთებს.

შტატები.

სულ თფილისის ქალაქის აღმასკომში ირიცხება 4.979 მუშა-მოსამსახურე. განყოფილებათა მიხედვით ისინი შემდეგნაირად არიან განაწილებულნი: სახალხო განათლების დარგში—1.986 კაცი, კომუნალურ მეურნეობაში—700 კაცი, შინაგან მმართველობისგანყოფილებაში—229 კაცი, ალმასკომისა და საფინანსო განყოფილებაში—133 კაცი და სტატისტიკურ განყოფილებაში—18 კაცი.

იმ სატარიფო განაწევრს, რომელიც ამ ჟამად არსებობს არ შეუძლია დააკმაყოფილოს მუშის ოჯახის საარსებო მინიმუმი. საშუალო მუშის მდგომარეობას გვისურათებენ შემდეგი ცნობები: საშვალოთ მუშა თვიურად იღებს ფულის ნიშნებით—1.000 ათას მანეთს და ნატურით 1 400 ათას მანეთს. სულ 2.400 ათას მანეთს, ანუ 24 მანეთს ოქროთი ომამდე მუშის ნორმალური ჯამაგირი გამოიხატებოდა 18—50 მანეთამდე ოქროთი, ე. ი. საშუალოთ 34 მანეთი ოქროთი. კომუნალური სამსახურს, ბინას, წყალს, განათებას და გადასახადს, სჭირდება მუშის ბიუჯეტის 25 პროც. ე. ი. მხოლოდ გამოკვებისათვის და სხვა გასავლისათვის რჩებოდა მუშას დაახლოვებით 25,4 მანეთი. საბჭოთა ხელისუფლება ახდევინებს კომუნალური მეურნეობისათვის დაახლოვებით 50.000 მანეთს თვეში, ე. ი. 2.8 პროც., ასე, რომ ამ ჟამად მუშა საშუალოდ ღებულობს 23,3 მანეთს ოქროთი, ესე იგი ომამდე არსებულ სატარიფო განაკვეთთან შედარებით 1,7 უფრო ნაკლებს. მაგრამ რადგანაც სყიდვითი ღირებულება ოქროსი დაიწია 30 პროც., ამიტომ თანამედროვე რეალური სამუშაო ხელფასი მუშისა არ აღემატება 16,4 მანეთს ოქროთი. ამ რიგად, საშუალოდ. ქალაქის მუშები იღებენ მხოლოდ 65 პროც საარსებო მინიმუმისას, ან სხვა სიტყვებით რომა ვსთქვათ ქალაქი თავის მუშებსა და მოსამსახურეებს აკმაყოფილებს მხოლოდ 20 დღე თვიურად.

მიუხედავათ სამუშაო ხელფასის ასეთი სიმცირისა მუშა მოსამსახურენი მაინც დაუსვენებლივ მუშაობენ. არ არის საბოტაჟი, სამსახურის მიტოვების შემთხვევები მინიმუმამდეა დაყვანილი, ხოლო შრომის პროდუქცია კი პროგრესიულად იზრდება. მაგალითად, ტრამვაიზე სახელოსნოს მთავარი ცეხების გადამუშავება (მექანიკურის, სამჭედლოს, ელექტრონის და სხვ.) საშუალოდ მარტის თვეში უდრის 105 პროც., ხოლო მეთებლებმა შეასრულეს სამუშევარი 115 პროც. ხოლო გარეშე ინტენსივობა აღნუსხულია ყოველ დარგში.

(დასასრული იქნება)

მუშათა ცხოვრება

ფურნეებსა და საკანდიტროებში მომუშავეთა შორის

უკანასკნელ ხანებამდი ამ დარგის სამრეწველოებში მომუშავეთ ძალიან ცოტა ყურადღება ექცეოდა. კერძოთ არ იყო განსაზღვრული სამუშაო დრო და მომუშავენი დღითაც მუშაობდენ და ღამითაც. ამ გარემოებამ ყურადღება მიაპყრო შრომის დაცვის განყოფილებამ. ვინაიდან ერთ მხრივ უკიდურეს საჭიროებას არ წარმოადგენდა ღამით მუშაობა და მეორე მხრივ ასეთ მუშაობას დიდი მავნებლობა მოქონდა მომუშავეებისათვის, გამოსცა შესაფერისი კანონი და აკრძალა ღამით მუშაობა. ეს კანონი მალე ცხოვრებაშიც იქნა გატარებული ღამეობით და უქმე დღეობით მუშაობისაგან განთავისუფლებულ იქნენ მოსამსახურენი.

უზომო ექსპლოატაციას შეჩვეული ხაზეინები, როგორც ჩანს ვერ ურიგდებიან ამ კანონს და შეაქვთ ქალაქის ალმასკომში საჩივარი, ვედრებით, წარმოება გვიფერხდება და მოგვეცი ნება ღამით ვიმუშაოთ თუნდაც ზედმეტი სამუშაოს სახითო. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ როგორ იღუპებიან ისინი და შეუძლებელია მათ ამ საჩივარს გამოსავალი დაურჩეს. იმ დროს როდესაც ჩვენს დარგში მრავალი უმუშევარია ყოვლად შეუძლებელია ზედმეტი სამუშაოს შემოღება. ესეც არ იყოს ჯანმრთელობის მხრივაც აუტანელია ფურნეებში ერთ და იგივე პირისათვის დღეღამე მუშაობა. ამიტომ შეიძლება ნება მიეცეს მხოლოდ ორი წყები მოსამსახურეების ყოლისა. ერთი წყება იმუშავებს დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი და მე-2 წყება 2—9 საათამდე. ამით მთისპობა უმუშევრობა და შრომის დაცვის კანონიც შესრულებული დარჩება.

სასურველია შრომის დაცვის განყოფილებამ კვლავაც განაგრძოს, როგორც ამდენხანს ენერგიული თვალყურის დევნება, რათა ეს კანონი არ იქნას დარღვეული და დარღვევის შემთხვევაში ისევე სასტიკათ დასაჯონ დამნაშავენი, როგორც ეს დღემდე ხდებოდა. ხაზეინებმა უნდა გაიგონ, რომ წავიდა ძველი დრო და ახლა მუშის შრომის ისეთი ულმერთო ექსპლოატაცია, რომელ აც ადგილი ქონდა ნიკოლოზისა თუ მენშევიკების რეჟიმში, ყოვლად შეუძლებელია და შეუწყნარებელი. ამიტომ ტყვილად იწუხებენ თავს საჩივრების წერით.

ვ. ქ.

—

საბჭოთა სამკერვალოში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებობს სამკერვალო, სადაც მუშაობს ათასამდი მუშა. მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობა მეტად ცუდი და აუტანელია. ვერ გვიშველა ვერც კოლექტიურ ხელშეკრულებამ და ვერც სხვა კანონებმა. ორი თვეა მოსამსახურეთ ჯამაგირი არ მიგვიღია. ყველასათვის ადვილი წარმოსადგენი უნდა იყვეს თუ რას ნიშნავს ორი თვის განმავლობაში ჯამაგირის მიუღებლობა.

ჩვენი ასეთი უმწეო მდგომარეობა უნდა მიეწეროს ზოგიერთ დაწესებულებათა დაუდევრობას. საქმე იმაშია რომ ჩვენ გვაკვეთავს საქმეს „ოკა“ ამ. კავკ. ჩეკა და საქ. ჯარი. ეს უკანასკნელი დაწესებულებები უკვე დავალიანებულია ჩვენგან 7 მილიარდ მანეთით. ვინაიდან ძველ ვალს ვერ გვისტუმრებენ, იმიტომ არც ახლო სამუშაოს გვაძლევენ ასე და ამგვარათ ხშირათ ვართ არა მარტო უფულოთ არამედ უსაქმოთაც.

რაც შეეხება სახელმწიფო, საპროფესიო და სხვა ორგანიზაციებს, თუმცა დადგენილია, რომ ჩვენ მოგვცენ საქმე, მაგრამ არ ვიცით რა მიზეზით ჩვენ გვერდს გვივლიან და თუ კი რაიმე საქმე ექნებათ კერძო პირებს აძლევენ შესასრულებლათ.

დადგენილებას რომ თავი დავანებოთ რომლის შესრულება მათთვის სავალდებულოა სხვა მხრივადაც ჩვენთან უკეთესი პირობებია. აქ გარდა იმისა, რომ შედარებით იაფია უფრო უკეთესათ, კარგათ და თავის დროზედაც კეთდება საქმე.

1000 კაცი ვმუშაობდით და თვითეულ მომუშავეზე 4 სული სარჩენი რომ ვიანგარიშოთ, 4000 კაცი, ზოგიერთ ორგანიზაციათა დაუდევრობის წყალობით, უმუშევრათ და ულუკმაპუროთ ვრჩებით, თუმცა ორი თვის გასამრჯელო გვერგება, მაგრამ ჯერ მხოლოდ ერთი თვისას ვთხოულობთ და მასაც ვერავინ გვაძლევს. ირღვევა კოლექტიური ხელშეკრულება და ყველაფერი და სასურველია მკერავთა კავშირი მიაქცევდეს ამაზე ვისიც ჯერ არს ყურადღებას. დროა შეასრულონ თავიანთი დადგენილება, რაც მათთვის და ჩვენთვისაც სასარგებლოა და ყოველი საქმე რაც კი ექნებათ მოგვცენ ჩვენ. გარდა ამისა თუ კოლექტიური შეკვეთა არ ხერხდება, საპროფესიო ორგანოებში ფართედ უნდა იყვეს გავრცელებული მუშების და მოსამსახურეების საყურადღებოთ, რომ ჩვენთან მიიღება შეღავათიან პირობებში ყოველგვარი სამკერვალო შეკვეთა. ჩვენ დარწმუნებული ვართ მრავალ მუშა მოსამსახურემ ჩვენი არსებობის შესახებ არც კი იცის არაფერი. ამაში ჩვენც ვართ დამნაშავე ჩვენი ადგილკომისა და კავშირის სახით.

აქაური მუშა.

—

ტრამვაის ცენტრალური ელექტრონის სადგური.

ამ სადგურის ზოგიერთი მოსამსახურეები წარმოადგენენ კერძო მესაკუთრეებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი სახლებიც. რა გასაკვირველია, ასეთი პირები ვერ ურიგდებიან საბჭოთა სისტემას. ისინი საქართველოში თებერვლის გადატრიალების წინათ ავრცელებდენ ხმებს, კომუნისტების წინააღმდეგ, რომ კომუნისტები კაცის ჭამია და მცარცველებიაო. სულ ასეთ რამეებს ჩაგვჩიჩინებდენ და გვიმტკიცებდენ. რა თქმა უნდა ჩვენ ამას არ უჯეროდით და ბოლოს კი დავინახეთ, რომ თურმე ყოველივე ეს პროვოკაცია იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტები არის ერთად ერთი პროლეტარიატის და უღარიბეს გლეხ კაცობის ინტერესების დამცველი. ის სდგას მშრომელთა სადარაჯოზედ მხნედ და მედგრად, და ჩვენც გვწამს, რომ ვერავითარი პროვოკაცია და ვერავითარი კონტრ-რევოლიუციონური ძალა ვერას გახდება და მტრები იქნებიან დასამარებული როგორც ეს მოხდა წინეთ დენიკინის და სხვა კონტრ რევოლიუციონური გამოსვლების დროს. მაშ ნუ ექნებათ იმედები გამარჯვების. ჩვენ კერძო მესაკუთრეებს და კულაკებს, რომლებიც ამოდგომიათ გვერდში ბურჟუებს და მოტყუილებით კი იმყოფებიან ჩვენს რიგებში.

ავტომატი.

—

კრებები და მიტინგები

მთავარ სახელოსნო დეპოსა და მატერიალურ საწყობის მუშათა კრებაზე

რეზოლიუცია, გამოტანილი მთავარ სახელოსნოების, დეპოს და მატერიალურ მთავარ საწყობის მუშათა საერთო კრებაზე 27 ივნისს ამხ. ბუდუ მდივანის მოხსენების შესახებ „გენუას კონფერენცია“.

მოვისმინეთ, რა ამხ. ბუდუ მდივანის მოხსენება „გენუას კონფერენციის შესახებ“, ჩვენ, მთავარ სახელოსნოების, დეპოს და მატერიალურ მთავარ საწყობის მუშა მოსამსახურეები მივესალმებით საბჭოთა ურყეველ პროლეტარულ სიმტკიცეს. დეე, კარგად იცოდეს ყველა ამ რეაქციონერმა ხროვამ, რომელიც მოდის მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა, კაცის მკვლელთა და მათ მიერ დაქირავებულ აგენტების, მოხალისე ლაქიების მენშევიკების და ესერების ბანაკიდან, რომ მათი ცდა საბჭოთა რესპუბლიკების დასამონავებლად, მიუხედავად 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალების სოციალისტ გამცემლების დახმარებისა ჩაიფუშა.

ჩვენ საძრახვისო დაღს ვასვამთ მუშათა კლასის მოღალატეებს. კრება დარწმუნებულია, რომ ასეთივე ურყეველ სიმტკიცეს გამოიჩენენ ჩვენი დელეგატები ჰააგის კონფერენციაზე.

გაუმარჯოს მუშათა კლასის ერთობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მე-3 კომინტერნს!

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

თამბაქოს ტრესტი.

(22 მაისიდან 17 ივნისამდე).

22 მაისიდან 17 ივნისამდე თამბაქოს ტრესტის თბილისის ფაბრიკებმა გამოუშვეს გასასყიდათ 80,894,000 ცალი პაპიროსი, და ბათომის ფაბრიკებში—6,706,000 ც., სულ 87,690,000 ცალ-ცალკე ფაბრიკებზე ეს ნაწილდება ამ გვარათ:

1. ბოზარჯიანცი	11,047,000	12,6
2. ენფიაჯიანცი	10,051,000	11,5
3. კომეტა	13,573,000	15,5
4 სეილანოვი	25,510,000	29,1
5. საფაროვი	3,972,000	4,5
6. მირი	17,141,000	20,3
7. ბინატ ოღლი	5,706,000	6,5
სულ	87,690,000	100

წასულ პერიოდთან შედარებით პაპიროსების წარმოების ეტყობა თითქოს დაცემა. ეს აიხსნება წარმოების ხელოვნურად შემცირებით იმ გარემოებით, რომ ფაბრიკებში მოიპოვება დიდი მარაგი დამზადებული პაპიროსებისა.

პაპიროსების დაწყობა და დამზადება ფაბრიკების მიხედვით ნაწილდება ამ რიგად:

თბილისის ფაბრიკები.

	ტენვა	წნვა
ბოზარჯიანცი	5,289,600	4,561,000
ენფიაჯიანცი	9,424:000	4 150,000
კომეტა	1,994,000	2,886,000
სეილანოვი	9,525,000	6,760,000
საფაროვას	3,085,500	566,000
მირი	—	—
ბათომის ფაბრიკები.		
ყოფ. ბინ.-ოღ.	3,880,000	3,463,000
სულ	33,197,500	22,386,000

ცეკავშირის საკავშირო ბიურო.

ამ დღეებში დასრულდა ცეკავშირის საკავშირო ბიუროს მორიგი სესია, რომელიც მოწვეულ იქნა ვადამდე საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის წარმომადგენლების ვიქტორია სერვიისა და ა. გუგუშვილის ჩამოსვლის გამო. მათი ჩამოსვლა გამოწვეული იყო, როგორც ვიცით, საერთაშორისო კოოპერაციის საქართველოს დამშეულთა დახმარების სურვილით, და აგრეთვე იმით, რომ მათ სურდათ შეესწავლათ საქართველოს კოოპერაციის მდგომარეობა.

ამის გამო ადგილობრივ ორგანოებს მიეცათ წინადადება წარმოედგინათ სწორი ცნობები: რაიონებში კოოპერატივების სამეურნეო და საფინანსო მდგომარეობის შესახებ, სარაიონო კავშირების მდგომარეობის, საქონლის დამზადების და მოსავლის შესახებ, საკუთარ წარმოებითა შესახებ, ოქროს ვალიუტაზე გადასვლის საკითხის შესახებ, არა სავაჭრო მოღვაწეობის შესახებ, სარაიონო მუშათა კოოპერატივების შესახებ.

სესიაში მონაწილეობას იღებდა 18 რაიონის წარმომადგენელი (საერთო რიცხვი უდრის 20 ს).

მოხსენებებმა ადგილებიდან გამოიწვიეს კამათი, რომლის დასრულებისას მიღებულ იქნა რეზოლიუცია; რეზოლიუცია აღნიშნავდა კოოპერაციის იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც გამოწვეულია ქვეყანაში გამეფებულ ფინანსიურ კრიზისით, ფულის ღირებულების დაცემით და ვალიუტის გაძვირებით და აგრეთვე იმით, რომ კოოპერატივები გადასახადების და სხვა მხრივათაც გათანასწორებული არიან კერძო კაპიტალისტურ წარმოებებთან.

დამზადების საკითხის შესახებ, ბიუროს სესიამ აღნიშნა, რომ დამზადება არ შეიძლებოდა ჩატარებულიყო ნორმალურად, ვინაიდან კოოპერატიულ ორგანიზაციებს არ შეეძლოთ საკუთარი ინიციატივით ეწარმოებინათ დამზადება ფართო მასშტაბით საშუალებათა უქონლობის გამო, ხოლო სახელმწიფოებრივი დაწესებულებები, რომელნიც აძლევდნენ კოოპერაციას შეკვეთას, თავის დროზე არ აძლევდნენ სათანადო თანხებს. გარდა ამისა რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ დამზადების წარმატებით წარმოების შემაფერხებელი მიზეზი იყო პარალელურად არსებობა, დამზადებელ ოპერაციების, რომელსაც აწარმოებდა ადგილობრივ სხვა ორგანიზაციებიც.

ადგილებიდან მოხსენების შემდეგ საკავშირო ბიურომ მოისმინა გამგეობის წევრის ი. ლ. ცაგარელის მოხსენება, ამიერ-კავკასიის კონფერენციის შესახებ. ბიურომ დაადგინა არჩეულ იქნეს კომისია იმ ხელშეკრულების პროექტის განსახილველად, რომელიც უნდა დაიდოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კოოპერატიულ კავშირებს შორის.

ცეკავშირის წევრთა რიცხვში მიღებულ იქნა აბხაზეთის კოოპერატივთა კავშირი.

ბიურომ დაადგინა გადასცეს 30 მილიონი მანეთი სახელმწიფო უნივერსიტეტის განკარგულებაში, სტუდენტ აგრონომების პრაქტიკულ სამუშაოზე გასაგზავნად.

გარდა ამისა საკავშირო ბიურომ დაადგინა მოეწყოს ცეკავშირთან საარბიტრაჟო კომისია, რომელსაც მიენდობა კოოპერატივთა შორის აღძრულ დავის განხილვა კოოპერატიულ უფლებისა და ეთიკის დარღვევის დროს. ამ კომისიის შესახებ დებულების შემუშავება მიენდო არა სავაჭრო განყოფილებას.

ეკონომიური ბიულეტენი

29 ივნისს 1922 წ.

თბილისის ბირჟა.

თბილისი. თბილისის სავალიუტო სავაჭრო ბირჟაზე 28 ივლისს: ოქროს 10 მან.—1.200 000 მან., ოსმალური ლირა—185.000 მან., გირვანქა სტერლინ.—1.200.000 მან., დოლარი—280.000 მან., ფრანგ. ფრანკი—1.075 მან. რუსეთის საბჭოთა ნიშნები—5—4 პროც.

ბაქოს ბირჟა. 22 ივნისს.

დოლარი—5.200.000 მან., გირვ. სტერლინგი—25.500.000 მან., ფრანკი—480.000 მან., იტალიური ლირა—260.000 მან., ოსმალური ქაღალდის ლირა—4.250.000 მან., გერმანული მარკა—19.500 მან.—რუსეთის ჩვეულებრივი ნიშნები—94, 1922 წლის გამოშვ—94, ვალდებულებანი—94, შემოკლებ. ვალდებ.—90, ქართული—2.100—500 მან. რომანოვისეული—1 200.000, 1.000 მან. კერენსკის—400.000. ოქროს 10 მანეთი—28.000.000 მან., ოსმალური ოქროს ლირა 22.400.000 მან.,—ნატეხი 56 პრობ.—5.200.000 მანეთი, თუმანი—4.000.000. ვერცხლის მანეთიანი—1.150.000 მან. წვრილი ვერცხლი ერთი მანეთი—450.000 მან

ბათუმის ბირჟა.

ბათუმი. ოფიციალური ბირჟა ბათუმის სავალიუტო სავაჭრო ბირჟისა—24 ივნისს: დოლარი—145—148 პიასტრი, გირვანქა სტერლინგი—650—660, 20 მარკა—8—8 ნახ., 20 ფრანკი - 245 – 250, 20 ლირა იტალური—125—130, ოსმალური ოქროს ლირა—570—575, რუსეთის ოქროს 10 მანეთ.—675—683, 1.000 მან. (ორი 500 მანეთიანი) 71—72, კერენკები—1.000 მან.—8 ნახ.—9, ოსმალური ქაღალდის ლირა—3.300.000—3.350.000 მან. რუსული საბჭოთა ნიშნებით და 195,000—200.000 მან. ქართული ბონებით.

პარიზის ბირჟა.

პარიზი. 29 ივნისი (რადიო) გადახურდავება 28 ივნისს: ლონდონი—52,55. ნიუ იორკი—11,905. გერმანია—3 425. ბელგია—95, ისპანია—185, ჰოლანდია—456, იტალია—56, შვეიცარია—225,50. ნაციონალური კრედიტი—1919 წ.—481, ნაციონალური კრედიტი 1920 წ—475. ოტომანის ბანკი—696, ოტომანის თამბაქო—361, ინდო ჩინეთის ბანკი—2436. კურსი ტოკიო-მარსელი 23 ივნისს—ბრინჯი—75,50, მუხუდო—107,01. სახამებელი—145; ჰავრი 28 ივნისი: მატყლი—335, ბამბა—345 ინდოჩინური რადიო. ნიუ იორკი—ვერცხლი—70.1634 სამი მეოთხედი. გადაგზავნა—4,4175. პარიზი—28 ივნისი: შაქარი—175—176. ჰავრი—ყავა—189—190.

რომის ბირჟა.

რომი. 27 ივნისი (რადიო). 100 ფრანკი—181,25, გირვანქა სტერლინგი—95,10. 100 შვეიცარული ფრანკი—408. 1 დოლარი—21, 70.100 მარკა—5.95.

ლონდონის ბირჟა.

ლონდონი. 29 ივნისი (რადიო). გადახურდავება 26 ივნისს: პარიზი—52,71. ნიუ-იორკი- 4.51388, ბრიუსელი 45,425. ჟენევა—23,2. ამსტერდამი—11,51. მილანი 92,625. ბერლინი--1532. სტოკჰოლმი—17,22. კოპენგაგენი—20,725. ქრისტიანია—27,325. ვენა—80500. პრაგა—228. გელსინგფორსი—200 მადრიდი—28 325. ლისაბონი—4,27 შვიდი მეთექვსმეტე. ბომბეი—1 შილინ. 3,2 ერთი მეოცდატორმეტე პენსი. შანხაი—3 შილინ. 7 ერთი მერვედი პენსი. ვერცხლი—36 ერთი მერვედი.

კოოპერაცია

თბილისის მთლიან მუშათა კოოპერატივში

სახოფ. სამეურ. ეკონომია „მაგმუტლო“.

მთლიანი მუშათა კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო ეკონომია „მაგმუტლო“ (ბორჩ. მაზრ.) ამ ჟამად აწარმოებს პურეულის და ქართოფილის მინდვრების გაწმენდას. სწარმოებს წინასწარი მუშაობა თავის ასალებათ რძის დამზადება ყველის და ზეთის სამზადებელ ქარხანაში თანდათან მატულობს; ყოველ დღე შემოდის 100 ფუთამდე რძე. ეხლა რძის პროდუქტების წარმოება და აგრეთვე პირუტყვები გადაყვანილია საზაფხულო ქარხანაში, რომელიც იმყოფება მამულიდან 1 ნახ. ვერსტის მანძილზე. უმთავრესად მზადდება თუშური ყველი და ერბო.

რძის პროდუქტების გარდა გაშენებულია ბოსტნეულობის კულტურა, სადაც დათესილია:

1 დესიატინა ქართოფილი, ნახევარი დესიატინა სტაფილო, კომბოსტო ნახევარი დეს.; ამას გარდა 3 დესიატინა მიწაზე გაშენებულია ხეხილებით.

რძის პროდუქტების წარმოების ჯამისაგან სჩანს, რომ მაისში შემოსულა:

რძე . . . . . . 2.551 ფ. 09 გ.

დამზადებულია:

ყველი ერბო მოხდილი 114 ფ. 24 გ.
„ ერბოთი . . 138 ფ. 10 გ.
სხვა და სხვა ყველი სულ 252 ფ. 34 გ.
ერბო. . . . . . 59 ფ. 37 გ.

ერბოს საკეთებელი ქარხნის შეძენა

გროსმანის ერბოს საკეთებელი ქარხანა, რომელიც იმყოფება მარიენფელდის არვაჰალის რაიონში, შეძენილია მთელი ინვენტარით იმ მიზნით, რომ იქნეს გაფართოებული რძის დამზადების საქმე.

ქარხნის რაიონში შედიან სოფლები: მალხაზოვკა, ხაშური, პატარ-ძეული და სხვა.

სარაიონო დუქნების კომისიის შესახებ.

რაიონული დუქნების №№ 10, 5 და 8 კომისიებმა წარმოადგინეს მოხსენებები თავიანთი მოღვაწეობის შესახებ, რომლებიდანაც სჩანს, რომ მათ მიერ აღებული მუშაობის ძირითადი კურსი სწორია.

იწყებს მუშაობას აგრეთვე ცენტრალური და მე 7 რაიონის დუქნის კომისია.

მე-4 დუქნის კომისია ჯერ არ მუშაობს, სანამ არ გაიხსნება განმანაწილებელი პუნქტი პუშკინის ქუჩაზე, რაც მოხდება ახალი მომავალში. დანარჩენი კომისიები აწარმოებენ თავიანთ მუშაობას ნორმალურად პლენუმისათვის, რომელიც დანიშნულია ხუთშაბათს 29 ივნისს, ყველა კომისიები ამზადებენ მოხსენებებს თავიანთ მოღვაწეობის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

ძიმითის რაიონი (გურია)

ა. წ. 15 ივნისს მოხდა ძიმითის რაიონის ყველა იაჩეიკების შეერთებული კრება. კრებას უმრავლესობა დაესწრო. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ვ. კილაძე, მდივნად მ. კილაძე.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე; 2) პარტიული დისციპლინის შესახებ; 3) რაიკომის მოხსენება; 4) იაჩეიკების მორიგი სხდომები და სხ.

მოხსენებას მომენტზე აკეთებს ამხ. ვანო ხელაძე, რომელიც ვრცლათ ახასიათებს საერთაშორისო მდგომარეობას და ხაზს უსვამს საბჭოთა დელეგაციის გენუაში ბრწყინვალე გამარჯვებას, ხელაძის შინაარსიანი მოხსენებით ამხანაგები კმაყოფილი დარჩნენ.

პარტიული დისციპლინის შესახებ ილაპარაკა ამხ. ვ. კილაძემ, რომელმაც გააცნო ამხანაგებს პარტ. დისციპლინის ყველა მუხლები და მოუწოდა ყველა ამხანაგებს, ურყევათ დაიცვან დისციპლინა.

რაიონული კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. მამია კილაძე, რომელიც ჯამს უკეთებს მთელი 5 თვის კომიტეტის მუშაობას. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რაიონული კომიტეტი თვის არსებობის განმავლობაში ენერგიულათ მუშაობდა. ამხანაგები კმაყოფილი დარჩნენ.

მე 4 საკითხის შესახებ ილაპარაკეს იაჩეიკის წარმომადგენლებმა. გამოირკვა, რომ 15 დღეში იაჩეიკის ყველა წევრები ერთხელ იკრიბებოდენ და განაგრძობდნენ მუშაობას. კრება საღამოს 12 საათზე დაიშალა.

მ. შუალელისპირელი.

პროფკავშირებში

მიწა-ტყის მუშაკთა საწარმოვო კავშირის ცხოვრებიდან

მაისის ბოლო რიცხვებიდან კავშირის პრეზიდიუმი შეუდგა ადგილკომების გადარჩევის, 29 ივლისისათვის მოსაწვევ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნების და დახმარე კასის დაარსების კომპანიის გატარებას. პასუხისმგებელ მდივნის და საორგანიზაციო განყოფილების გამგის ხელმძღვანელობით გადარჩეულია ადგილკომები თბილისის შემდეგ დაწესებულებებსა და წარმოებებში: მიწადმოწყობის განყოფილებაში, ბოტანიკურ ბაღში, ღვინის სარდაფში, სააბრეშუმო სადგურში და ნავთლუღის ეკონომიაში, რომლის თანამშრომლები მიწა ტყის კავშირმა წევრებათ მიიღო მხოლოდ 20 ივნისს. ბათომის ოლქში ამავე სამუშაოზე გაგზავნილი იყო გამგეობის წევრი ამხ. ნიკო დოლიძე, რომელმაც არჩევნები მოახდინა ჩაქვის სახალხო მამულში და ბათომის ბოტანიკურ ბაღში. ამავე ამხანაგების ხელმძღვანელობით კომპანია გატარდა აჯამეთში, ვარციხეში, ვაჰევში, საქარაში და სკრაში. კახეთის მამულებში იმავე კომპანიის გასატარებლად გაემგზავრა კავშირის სატარიფო ეკონ. განყ. გამგე, რომელიც გადარჩევებთან ერთად კახეთის მამულების მუშა-მოსამსახურეებს აცნობდა პროექტს მათ და მიწათმოქმედების კომისარიატის შორის დასადებ კოლექტიურ ხელშეკრულებისას. დღეს დღეობით ბორჩალოს მაზრაში იმყოფება საორგანიზაციო განყოფილების გამგე და ამ დღეებში დასავლეთ საქართველოში იგზავნება კახეთიდან დაბრუნებული სატარიფო ეკონომ. განყ.

დახმარების კასის დაარსებას ყველგან წევრები გულმხურვალედ შეხვდენ და კავშირში უკვე დაიწყო შემოსვლა ამ მიზნისათვის შეგროვილმა თანხებმა, რომელთა რაოდენობა ჯერჯერობით ათ მილიონამდე ადის.

ყრილობაზე დასასწრებ დელეგატთა რიცხვი ჯერ ჯერობით 29 უდრის, კავშირს კი განზრახული აქვს მოიწვიოს ყრილობა დაახლოებით 70 დელეგატისაგან შემდგარი, 30 კაცზე ერთი დელეგატის ანგარიშით.

ყველა ამას გარდა კავშირმა დაავალება მისცა კავშირის სატარიფო—ეკონომიური განყოფილების გამგეს, რომ ის დაუყონებლივ შეუდგეს ნავთლუღის ეკონომიის მუშა მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობის გამორკვევას და სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებასთან დისდოს სათანადო კოლექტიური ხელშეკრულება, ვინაიდან კავშირის პრეზიდიუმის წევრების აზრით მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა საშინელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

პროვინციაში

მენშევიკების ოინები.

(მკითხველის წერილი)

როდესაც კაცი წყალში იღრჩობა, ის იქ ყველაფერს ეპოტინება და როდესაც ხელში რამეს ჩაიგდებს, ხელიდან არ უშვებს და ისე შორდება წუთი სოფელს. ჩვენებური მენშევიკებიც ყოველისფერს ეტანებიან თავის საშველათ.

იტყვიან ხოლმე, „სხვისი პურმარილით, ღმერთო, ჩემი მიცვალებული აცხონე“ ო. მენშევიკების საქართველოში მუშაობა ამ ჟამათ ამას მიესგავსება.

საქმე იმაშია, რომ, როდესაც წრეულს ჩვენმა მთავრობამ შესძლო მუშების და გლეხების შიმშილისაგან განადგურების გადარჩენა მით, რომ სიმინდი შემოიტანა საქართველოში და დაურიგა დამშეულთ, ეს მენშევიკებმაც გამოიყენეს ერთგვარ საგიტაციო მასალათ.

სიმინდი რომ შემოვიდა საქართველოში, ეს ჟორდანიას გამოგზავნილია ევროპიდანო, გაავრცელეს მათ ხმა.

14 ივნისს შემოდის ოც კაცამდე ერთ ერთ სამაზრო აღმასკომში აცხადებენ, რომ სახარჯო სიმინდის სინაკლულე აქვთ, და ითხოვდენ დახმარებას. ერთმა მათგანმა გაბრაზებით წამოიძახა; „ეს სიმინდი ხომ ჟორდანიას გამოგზავნილია ევროპიდან მე მათი პარტიის წევრი ვარ და უფრო მეტი მე მეკუთვნის“-ო. აქვე მყოფ გლეხების ერთმა ჯგუფმა უპასუხა; „ჟორდანიას გამოგზავნილი შენ ბეღელში გექნება“-ო.

სოფლის გლეხკაცობამ გაიგო თუ ვინ უგზავნის მას სიმინდსაც და პურსაც. გლეხ-კაცობამ ისიც იცის თუ ვინ გაიტაცა საქართველოდან 1921 წელს ხალხის ქონება, გაძარცვა ეკლესიები და ხაზინები. გლეხ-კაცობამ იგიც კარგათ იცის, თუ ვინ დაანგრია ხიდები და რკინის გზები. ხოლო მათ მიერ დანგრეულს საქართველოს დღეს მშრომელები აშენებენ.

უნაყოფოდ დარჩება ბატონებო თქვენი ინსინუაციები როგორც ხალხისთვის უნაყოფო და საზარალო იყო თქვენი სამი წლის არსებობა საქართველოში.

საქართველოს გლეხკაცობამ კარგათ იცის: სიმინდი და პური მოაქვს ჟორდანიას თუ იმპერიალისტების რკინის უღელი ჩვენი ხალხისთვის.

ხ. ქაჯაია.

ქ. ხაშური.

16 ივნის შესდგა საბჭოთა დაწესებულებების მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იყო 1) პროფკავშირების მიზნები და ამოცანები. 2) თავისუფალი წევრობა; 3) ადგილკომის ამორჩევა; 4 დელეგატების არჩევნები სამაზრო კონფერენციაზე და მიმდინარე კითხვები. პროფკავშირის მიზნებზე და ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ამხ. ონიაშვილმა, რომელიც ვრცლად შეეხო პროფესიონალურ მოძრაობას შედარა მენშევიკების დროინდელი კავშირები და ახლანდელი და ამხანაგმა გაუსვა ხაზი თავის მოხსენებაში იმ გარემოებას თუ რა დიდი განსხვავებაა ეხლანდელ საწარმოვო პროფკავშირებს შორის და დახავსებულ მენშევიკების დროინდელ კავშირებთან, მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ონიაშვილისა პროფკავშირების, მათი მიზნების და ამოცანების შესახებ ჩვენ ქალაქ ხაშურის საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები ვცნობთ მიზან შეწონილად საქართველოს საბჭოთა პროფკავშირების მიერ ყოველივე გადადგმულ ნაბიჯს და ვუსურვებთ მათ, რომ შემდეგშიდაც მტკიცეთ დაეცვათ რევოლიუციის მონაპოვარი და მშრომელი ხალხის ინტერესები.

თავისუფალ წევრობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ონიაშვილმა, რომელმაც განმარტა განსხვავება წინანდელ პროფკავშირების წევრობისა და ეხლანდელს შორის. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ონიაშვილისა თავისუფალ წევრობაზე ჩვენ ქალაქ ხაშურის საბჭოთა დაწესებულების მუშა-მოსამსახურეები ვცნობთ საჭიროდ, რომ ყოველივე მუშაკი ამა თუ იმ დარგისა უნდა იყოს წევრი პროფესიონალური კავშირისა და ამიტომ ვადგენთ, რომ ყველა შევიდეთ წევრად პროფკავშირებში და მოუწოდებთ ყველა პატიოსან მშრომელებს და მუშა-მოსამსახურეებს რომ არ დარჩენ პროფკავშირის გარეშე და შეიკრიბონ თავის ინტერესების გამომხატველ და დამცველ პროფესიონალურ კავშირებში, საიდანაც ერთად დარაზმულნი გადავალთ საბრძოლველად საერთო მტრის—კაპიტალის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ კრებაზე არჩეულ იქნა ადგილკომ. წევრები და დელეგატები სამაზრო პროფკავშირების კონფერენციაზე.

კრებამ ახლად ამორჩეულებს უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

ხანდრო.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 30.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი. ადმინისტრატიული წესით დასჯის დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ადმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ მე-16 №-ით გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. **მუხლი 1 ლი** შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადება შეიძლება: ა) ადგილობრივი ხელისუფლების სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის და ბ) ისეთი მოქმედებისათვის რომელიც, თუმცა გათვალისწინებული არ არის სავალდებულო დადგენილებით, მაგრამ თავის ხასიათით და შესაძლებელი შედეგით აშკარა საფრთხეს ჰქმნის მოქალაქეთა უშიშროებისათვის, ან აშკარად შეურაცხყოფს საზოგადოებრივ ზნეობას, უკეთუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს რაიმე განსაზღვრულ სისხლის სამართლის დანაშაულს“.

II. **მე-2 მუხლს** დაემატოს შემდეგი ორი შენიშვნა:

შენიშვნა 1: ტფილისში ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადება შეუძლია ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის სამმართველოს განყოფილების გამგეს, ან გამგის თანამდებობის აღმასრულებელს.

შენიშვნა 2: ქ. ტფილისის მილიციის უფროსს შეუძლიან ადმინისტრატიული წესით სასჯელის დადება მხოლოდ იმ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, რომელიც მის მიერ არის გამოცემული და აღმასრ. კომიტეტის მიერ დამტკიცებული.

III. **მუხლი მე-3** შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ადმინისტრატიული წესით დაიდება შემდეგი სასჯელი:

ა) თავისუფლების აღკვეთა ორ თვემდე;

ბ) თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი სამუშაოზე დანიშვნა ორ თვემდე;

გ) ჯარიმა არა უმეტეს ოცი მილიონი მანეთისა, რაც შეიცვლება იძულებითი მუშაობად ორ თვემდე იმ შემთხვევაში, უკეთუ სასჯელ დადებული ამ ჯარიმას არ გადაიხდის.

შენიშვნა: ტფილისის მილიციის უფროსს უფლება აქვს დამნაშავეს მხოლოდ შემდეგი სასჯელი დაადოს:

ა) თავისუფლების აღკვეთა ერთ კვირამდე,

ბ) თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი სამუშაოზე დანიშვნა ერთ კვირამდე,

გ) ჯარიმა არა უმეტეს ორი მილიონი მან., რაც შეიცვლება იძულებითი მუშაობად ერთ კვირამდე იმ შემთხვევაში, უკეთუ სასჯელ-დადებული ამ ჯარიმას არ გადაიხდის.

IV. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ა. ხალარიძე.**

1922 წ. ივნისის 28.

ტფილისი—სასახლე.

პარტიული

თბილისის საბჭოს ახალ შემადგე
ლობის წევრებს

რომელნიც არჩეულნი არიან მე-4ხე რაიონში

ვთხოვთ გამოცხადდენ მანდატების მისაღებ
მე-4-ხე რაიკომში.

პასუხისმგებელი მდივანი **ჯორბენაძე.**

სარედაქციო კოლეგია.

რკინის გზის საავადმყოფოს კომიაჩეიკა ღრმა მწუხარებით აუწყებ
ყველა პარტიულ ამხანაგებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდ
როვოთ გარდაიცვალა კომიაჩეიკის მდივანი ამხ.

ანდრო რუსია

ცხედარს გამოასვენებენ კვირას, 2 ივლისს, დილის 12 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან (ანდრეევის ქ. № 101).

2—1

განცხადება

თანახმად ქალ. თბ. აღმასრულებელ კომიტე
პრეზიდიუმის დადგენილებისა 24 მაისის ა.

თვითეულ სამილიციო უბნებისათვის ინიშნება შემდეგი დღეები სადარ
ქირის შემოსატანად ყოველთვიურად ა. წ.

დარაბების მეპატრონეებმა აუცილებლად უნდა შემოიტანონ სადარაბო
რა ქალაქის სალაროში აღნიშნულ ვადებში.

1 უბანი	28 – 29	რიცხვი ყოველ თვის
2 „	15,16 და 17	„ „ „
3 „	18,19 და 20	„ „ „
4 „	12,13 და 14	„ „ „
5 „	8,9,10,11	„ „ „
6 „	30	„ „ „
7 „	21—22	„ „ „
8 „	4,5,6,7	„ „ „
9 „	1,2,3	„ „ „
10 „	23,24,25	„ „ „
11 „	26	„ „ „
12 „	27	„ „ „

1-ლ ივლისიდან სადარაბო გადასახადი იმ დარაბებზე, რომლებზე
იყო მომატებული სახით შეწერილი გადასახადი 1-ლი მაისიდან ა. წ. გა
დებული იქნება 50 პროც.

ის მოიჯარადეები, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ შემოიტან
საიჯარო გადასახადს, გადაიხდიან ჯარიმას 50-ათას მანეთს ყოველ გად
მულ დღეებზე. ის მეპატრონეები, რომლებიც გადააცილებენ 10 დღეს
გავენ უფლებას თავის დარაბზე.

ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის
საფინანსო განყოფილების გამგე: **თ. ღლონტი.**

(5—1)

ბრიგადის სასურსათო მომარაგები
განყოფილება

ამით აცხადებს, რომ **1922 წ. 3 ივლისს** დილის 10 საათზე, მოხსენებ
განყოფილებაში (ევანგულოვის ქუჩა № 3) საჯარო ვაჭრობით გაიყიდ

400 ფ. თეთრი ინგლისური რკინა

(ჟესტი 11 × $6\frac{1}{2}$).

მსურველთ ცნობები შეუძლიანთ მიიღონ ზემოაღნიშნულ დაწესებულება

ქართულ შეერთებულ ბრიგადის მომარაგე
განყოფილება.

1—1

ბრიგადის სასურსათო მომარაგები
განყოფილება

ამით აცხადებს, რომ **1922 წ. 4 ივლისს** დილის 10 საათზე, მოხსენებ
განყოფილებაში (ევანგულოვის ქუჩა № 3) საჯარო ვაჭრობით გაიყიდ

250 ფ. დამუშავებული თუთუნი

მსურველთ დაწვრილებითი ცნობები შეუძლიანთ მიიღონ ზემოაღნიშნ
დაწესებულებაში.

ქართულ შეერთებულ ბრიგადის მომარაგე
განყოფილება.

1—1

ქალ. თბილისის აღმასრულებელ კო
მიტეტის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ კვირას 2 ივლისს დღით 12 საათზე აღმასკომის შენობ
დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ქვემო ჩამოთვლილ სასტუმროებისა:

1. ასლამი, გოგოლევის ქ № 65.
2. რომი, კარგანოვის ქ. № 3.
3. მოსის, სიონის ქ. № 8.
4. საერო, ელისაბედის ქ. № 25.
5. პორინი, თივის მოედანი № 5.
6. პეტროგრადი, პლეხანოვის ქ. № 6.
7. ერმიტაჟ, პუშკინის ქ. № 29.
8. რევიერა, დიდი მთავრის ქ. № 1.
9. კომერციული, ნომრები ირაკლის ქ. № 8.

კანდიციის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარია
მე-11 ოთახში საიჯარო მაგიდის გამგე—დარახველიძესთან. 3—

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ფულის დაგვიანებით მიღებისა და გაზეთების გზავნის შეწყვეტის თავიდ
ასაცილებლად, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა იღებს ხელ
მოწერას ივლისის და შემდეგი თვეებისათვის.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისის** და **ბათუმის** ყველა გაზეთებზე.

ხელის მოწერის ფასი—ძველია.

ვინც 30 ივნისამდე არ მოაწერს ხელს, მათ მოესპობათ გაზეთების გზავ
1 ივლისიდან.

0—

დაიკარგა

აღმასრულებელი ფურცელი, მიცემული მე-11-ე უბნის სახალხო სასამარ
ლოს მიერ 24 მაისს 1922 წელს № 347, ილარიონ ივანეს ძე ჰინჯარაძ
სახელზე. (1—1)

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.